მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება საქართველოში

კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ძირითადი ხარვეზები

HUMAN RIGHTS CENTER (HRC)
ადამიანის უფლებათა ცენტრი

2021

მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება საქართველოში

კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ძირითადი ხარვეზები

ადამიანის უფლებათა ცენტრი

2021

ავტორი: ნინო ცაგარეიშვილი
რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი
მონიტორები: ალეკო ცქიტიშვილი, თამარ ქურთაული
ფოტო ყდაზე: ალეკო ცქიტიშვილის

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge
ვებ-გვერსი: hrc.ge
ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ: http://www.humanrights.ge

European Center for Not-for-Profit Law

ანგარიში მომზადდა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრის (ECNL) პროგრამა INSPIRE-ის მხარდაჭერით. ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა არაკომერციული სამართლის საერთაშორისო ცენტრის (ICNL) მხარდაჭერით და USAID-ის დაფინანსებით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის პოზიციას. შესაბამისად, იგი არ არის პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.

USAID

ICNL
INTERNATIONAL CENTER FOR NOT-FOR-PROFIT LAW

სარჩევი

ანგარიშის მოკლე შინაარსი 4

სამართლებრივი ჩარჩო.....8

შეკრებების ადმინისტრირება 21

შეკრებების საპოლიციო მართვა 28

ლგბტქ+ ადამიანებისა და მათი მხარდამჭერების მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება 37

შესავალი 37

2021 წლის 5 და 6 ივლისის მოვლენები 39

გადამეტებული ძალის გამოყენება და არაპროპორციული შეზღუდვები 47

2020 წლის 8 ნოემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინ გამართული საპროტესტო აქცია 47

საპროტესტო აქციები ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის წინააღმდეგ 51

2019 წლის 20-21 ივნისის ანტისაოკუპაციო საპროტესტო აქცია 53

შენობათა შესასვლელების ბლოკირება 54

კარვების გამოყენების არამართლზომიერი შეზღუდვა.....55

პანდემია და შეკრებები.....57

დემონსტრანტების მსვლელობის ხელშეწყობის ცალკეული შემთხვევები პოლიციის მიერ 64

„გახსენით ქვეყანა“ 64

აქცია - „არა საბჭოთა რეჟიმს!“ 66

აქცია „დაასრულე კომენდანტი“ 69

რიონის ხეობის მცველთა დემონსტრაცია 71

რეკომენდაციები 73

ანგარიშის მოკლე შინაარსი

ადამიანის უფლებათა ცენტრის ეს ანგარიში წარმოადგენს მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების მომწესრიგებელი კანონმდებლობისა და მისი პრაქტიკული რეალიზაციის მდგომარეობის ანალიზს. ანგარიშში იდენტიფიცირებულია კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ის ძირითადი ხარვეზები, რაც აბრკოლებს მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით თავისუფალ სარგებლობას საქართველოში. ანგარიშში მიმოხილულია ბოლო ერთი წლის განმავლობაში გამართული სხვადასხვა სახის შეკრებები (2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის სექტემბრამდე) და გაანალიზებულია შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით დაუბრკოლებელი სარგებლობა, მათ შორის - შეკრების მონაწილეთა წინააღმდეგ გადამეტებული და განურჩეველი ძალის გამოყენების შემთხვევები. ანგარიში ასევე ეხება რამდენიმე შემთხვევას უფრო ადრინდელი პერიოდიდან, სადაც ხელისუფლებამ უხეშად დაარღვია მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება.

ანგარიშის პირველი თავი - „საკანონმდებლო ჩარჩო“ განიხილავს სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, რითაც მოწესრიგებულია მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება, ასევე - აფასებს მათ შესაბამისობას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან. ეს თავი მოიცავს კანონმდებლობის განვითარების მოკლე მიმოხილვას, მათ შორის - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს, რამაც ბიძგი მისცა გარკვეულ საკანონმდებლო ცვლილებებს და გაზარდა მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების დაცვის სტანდარტი. მოცემულ თავში, ასევე, განხილულია კანონმდებლობაში დარჩენილი მნიშვნელოვანი ხარვეზები, რაც ხელს უშლის მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების სრულფასოვან რეალიზაციას.

თავი - „შეკრებების ადმინისტრირება“ ახდენს სახელმწიფო ხელისუფლების იმ ორგანოების იდენტიფიცირებას, რომელთაც მინიჭებული აქვთ შეკრებების ადმინისტრირების უფლებამოსილება. მასში გაანალიზებულია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების მიმართ შეკრების შესახებ წინასწარი გაფრთხილების/შეტყობინების პროცედურის ხარვეზები. ეს თავი ასევე იკვლევს ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილებებს შეკრების დროისა და ადგილის შეზღუდვის, შეკრების აკრძალვისა და შეწყვეტის თვალსაზრისით და აფასებს ამ პროცესში გადაწყვეტილების მიღების

უფლებამოსილებების განსაზღვრის ბუნდოვანებას. ასევე, განხილულია შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ნაკლებობის პრობლემა მუნიციპალური და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.

თავი - „შეკრებების საპოლიციო მართვა“ განიხილავს პოლიციის ძირითად პასუხისმგებლობებს შეკრებებისა და მანიფესტაციების უსაფრთხოებისა და მათი მიმდინარეობის განმავლობაში მართლწესრიგის დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. იგი აანალიზებს სამართლებრივ აქტებსა და პრაქტიკაში არსებულ ძირითად ხარვეზებს, რაც უკავშირდება სპეციალური საშუალებების გადამეტებულ და განურჩეველ გამოყენებას. ეს თავი ასევე წარმოადგენს ბოლო წლებში შეკრებებსა და მანიფესტაციებზე განვითარებულ პრობლემურ ტენდენციას - ულტრამემარჯვენე ჯგუფების ძალადობრივი მოქმედებების შესაკავებლად ძალის გამოყენების ნაკლებობას. ეს მაშინ, როცა არაპროპორციული და განურჩეველი ძალა ხშირად გამოიყენება იმ ჯგუფების წინააღმდეგ, რომელიც კრიტიკულ პოლიტიკურ შეხედულებებს გამოხატავენ მოქმედი ხელისუფლების მიმართ. ასევე, გაანალიზებულია შეკრებებსა და მანიფესტაციებზე ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ნაკლებობის პრობლემა.

თავი „ლგბქტ+ ადამიანებისა და მათი მხარდამჭერების მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება“ განიხილავს ლგბქტ+ ადამიანებისა და მათი მხარდამჭერების მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების სისტემურ უგულვებელყოფას. მასში გაანალიზებულია 2021 წლის 5 და 6 ივლისს განვითარებული მოვლენები, როდესაც ხელისუფლებამ, გასული წლების მსგავსად, კვლავ არ უზრუნველყო ლგბტქ+ ადამიანებისა და მათი მხარდამჭერების მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება სასურველ დროსა და ადგილზე, რამაც სავალალო შედეგები მოიტანა. ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ განხორციელებულ მასობრივ ძალადობას 5 და 6 ივლისს სახელმწიფომ მკვეთრად მწირი საპოლიციო რესურსი დაუპირისპირა, რის შედეგადაც უპრეცედენტო რაოდენობით ადამიანი დაშავდა, მათ შორის - 53 ჟურნალისტი და ოპერატორი. ეს საკითხები გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების უშუალო დაკვირვებებზე დაყრდნობით. მონიტორები რუსთაველის გამზირზე იმყოფებოდნენ 5 და 6 ივლისს და ადგილზე აკვირდებოდნენ ძალადობრივი შეკრებების მიმდინარეობას.

თავი - „გადამეტებული ძალის გამოყენება და არაპროპორციული შეზღუდვები“ წარმოადგენს კონკრეტულ მაგალითებს ბოლო ორი წლის პერიოდიდან (2019 წლის ივნისი - 2021 წლის ივლისი), სადაც სამართალდამცავმა

ორგანოებმა გამოიყენეს გადამეტებული და განურჩეველი ძალა და არაპროპორციულად შეზღუდეს მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება. ამ თავში განხილულია შემდეგი შეკრებები: 2020 წლის 8 ნოემბრის შეკრება ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის წინ, ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საწინააღმდეგო აქციები, 2019 წლის 20-21 ივნისის ანტისაოკუპაციო საპროტესტო აქცია, შენობების შესასვლელების ბლოკირების შემთხვევები.

თავი - „კარვების გამოყენების არამართლზომიერი შეზღუდვის შემთხვევები“ განიხილავს 2021 წლის განმავლობაში დაფიქსირებულ შემთხვევებს, როდესაც სამართალდამცავმა ორგანოებმა არამართლზომიერად შეუზღუდეს შეკრების მონაწილეებს უფლება, კარვები გაეშალათ საპროტესტო აქციების ტერიტორიაზე.

თავი - „პანდემია და შეკრებები“ განიხილავს პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად მიღებულ საგანგებო ზომებს და მათ ზეგავლენას მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების სრულფასოვან რეალიზაციაზე. იგი განიხილავს შემთხვევებს, როდესაც პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება არაპროპორციულად შეიზღუდა. მასში ასევე შეფასებულია, თუ რა ზეგავლენა იქონია კოვიდ 19-თან დაკავშირებულმა რეგულაციებმა შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და მათში მონაწილეობაზე. ამ თავში ასევე განხილულია შეკრებები, რომელთა მონაწილეები პროტესტს გამოხატავდნენ მოქმედ რეგულაციებსა და მათ მძიმე შედეგებთან დაკავშირებით. ასევე, გაანალიზებულია, რამდენად იყო დაცული კოვიდ 19-თან დაკავშირებული რეკომენდაციები და რეგულაციები შეკრებებსა და მანიფესტაციებზე.

თავი - „შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგი პანდემიის დროს“ აანალიზებს, თუ რა ზეგავლენა იქონია პანდემიის დროს მოქმედმა შეზღუდვებმა უფლებადამცველი ორგანიზაციების საქმიანობაზე და რა მხრივ შეუშალა ხელი მათ მიერ შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგს.

თავი - „დემონსტრაციების მსვლელობის ხელშეწყობა“ მიმოიხილავს პოლიციის მიერ დემონსტრაციის მსვლელობის ხელშეწყობის შემთხვევებს 2020 წლის ოქტომბრიდან 2021 წლის ივლისამდე პერიოდში. ამ თავში მიმოხილულია შემდეგი დემონსტრაციები: *„გახსენი ქვეყანა“* (2020), *„არა საბჭოთა რეჟიმს“ (2021), „მარში თავისუფლებისთვის“ (2021), „დაასრულე კომენდანტი“ (2021), „რიონის ხეობის მცველთა“ საპროტესტო დემონსტრაცია (2021).*

ანგარიშის სექცია - „რეკომენდაციები“ წარმოადგენს რეკომენდაციებს ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მიმართ, მშვიდობიანი შეკრებისა და

მანიფესტაციის უფლების დაცვის სტანდარტის გაზრდისა და მისი პრაქტიკული რეალიზაციის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ანგარიში აანალიზებს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის სექტემბრამდე პერიოდში ქალაქ თბილისში 15 შეკრებაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს. კვლევის ფარგლებში ასევე გაიმართა 7 ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუ უფლებით მოსარგებლე სუბიექტებთან და უფლებადამცველ ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ შეკრებებსა და მანიფესტაციებზე მონიტორინგს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ინტერვიუს თხოვნით დაუკავშირდა ასევე სამთავრობო უწყებებს. ოფიციალური ორგანოები არ გამოეხმაურნენ ინტერვიუს შესახებ თხოვნას.

კვლევის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია თბილისისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერიებიდან, ასევე - შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან. შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ ნაწილობრივ უპასუხეს ადამიანის უფლებათა ცენტრის მოთხოვნას საჯარო ინფორმაციაზე. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ არ უპასუხა მოთხოვნას საჯარო ინფორმაციაზე.

კვლევაში გამოყენებულია შედარებითი სამართლებრივი ანალიზის მეთოდი. კერძოდ, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დაცვასთან დაკავშირებით გაანალიზებულია საქართველოს კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში. მათ შორის, გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის ერთობლივი გაიდლაინები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებით და ვენეციის კომისიის მოსაზრებები „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით. მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დარღვევის კონკრეტული შემთხვევების განხილვისას ანგარიშში, ასევე, გამოყენებული და რეფერენსირებულია საქართველოს სახალხო დამცველის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანოზაციების ანგარიშები.

სამართლებრივი ჩარჩო

❖ კონსტიტუციური და კანონისმიერი გარანტიები

მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და კანონით შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ. კონსტიტუცია განსაზღვრავს მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების არსს, რომლის მიხედვითაც, ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება. კონსტიტუციის თანახმად, კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ხალხის ან ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

კანონი ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" წარმოადგენს მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების დეტალურ რეგულირებას, მათ შორის - ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიც არის: უფლებით დაცული სფერო, შეკრებაზე პასუხისმგებელი პირების უფლებები და ვალდებულებები, შეკრების შესახებ წინასწარი გაფრთხილების პროცედურა, სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობები შეკრებების ადმინისტრირებისა და მართვის თვალსაზრისით და შეკრების უფლების შეზღუდვის საფუძვლები. კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში შეკრების გამართვის შესახებ წინასწარი გაფრთხილების შეტანის ვალდებულებას, როდესაც შეკრება ტრანსპორტის სავალ ნაწილზე იმართება ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს.

საქართველოს კონსტიტუცია არ ანიჭებს მნიშვნელობას შეკრების მიზანს ან მოტივს. მშვიდობიანი შეკრების უფლება, კონსტიტუციის თანახმად, გარანტირებულია ყველასთვის, გარდა თავდაცვის ძალებისა და სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორგანოების შემადგენლობაში მყოფი პირებისა, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზანს ემსახურება შეკრება[1]. კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" აკონკრეტებს, რომ შეკრებას უნდა ჰქონდეს სპეციალური მიზანი - სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვა. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, „შეკრება" არის მოქალაქეთა ჯგუფის შეკრება ჭერქვეშ ან გარეთ,

[1] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2009, გვ. 175: https://ombudsman.ge/res/docs/2019040411373662896.pdf

მიტინგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით“[2].

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტების გარდა, შეკრებებთან და მანიფესტაციებთან დაკავშირებულ გარკვეულ საკითხებს არეგულირებს ასევე კანონი „პოლიციის შესახებ“ და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ 1997 წელს იქნა მიღებული. მიღებიიდან დღემდე, საქართველოს პარლამენტის მიერ კანონში შვიდჯერ შევიდა ცვლილება - დამატება. უკანასკნელი ცვლილება კანონში 2015 წელს განხორციელდა. მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ცვლილებებისა, კანონმდებლობაში ჯერ კიდევ არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომელიც აბრკოლებს მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებით სრულფასოვან სარგებლობას. ამავდროულად, არსებობს სერიოზული პრობლემები პრაქტიკაში, მათ შორის - სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გადამეტებული და განურჩეველი ძალის გამოყენების შემთხვევები შეკრების მონაწილეთა წინააღმდეგ და ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ნების არარსებობა, უზრუნველყოს ლგბტქ+ თემის წარმომადგენლების მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება და დაიცვას ისინი ჰომოფობიური ჯგუფების აგრესიისგან.

გასულ წლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა რამდენიმე გადაწყვეტილება, რომელმაც ხელი შეუწყო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში პოზიტიური ცვლილებების შეტანას და მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების დაცვის სტანდარტის გაზრდას. ქვემოთ მიმოხილულია ზოგიერთი ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და კანონმდებლობაში შესული სხვადასხვა ცვლილებები.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის თავდაპირველი ვერსიის თანახმად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოებს შეეძლოთ, არ მიეღოთ წინასწარი გაფრთხილება შეკრების გამართვის შესახებ, თუ იგი არ აკმაყოფილებდა კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონმდებლობის ეს ჩანაწერი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას, რადგანაც ფორმულირება „გაფრთხილების არმიღება“ გაფრთხილების ინსტიტუტს ნებართვას უთანაბრებდა. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებელი არ აკონკრეტებდა, რა მოსდევს გაფრთხილებას. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, ჩანდა,

[2] კანონი ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ”, მუხლი 3, პუნქტი ,,ა”. https://matsne.gov.ge/ka/document/view/31678?publication=16

რომ მასში მითითებული პირობების შეუსრულებლობა შეიძლება გამხდარიყო შეკრებისა და მანიფესტაციის აკრძალვის საფუძველი[3].

„თავად ფორმულირება „გაფრთხილების არმიღება“ გაფრთხილების ინსტიტუტს ნებართვას უთანაბრებს. გაფრთხილება ზოგადად გულისხმობს ხელისუფლების ინფორმირებას შეკრების ჩატარების თაობაზე მხოლოდ იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა, ანუ ეს ცალმხრივი ქმედებაა, რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ მოიცავს ხელისუფლებისაგან პასუხის მოლოდინის ვალდებულებას. თავისთავად, როდესაც კანონმდებელი ხელისუფლებას აძლევს გაფრთხილების არმიღების შესაძლებლობას, ვარაუდობს, რომ ხელისუფლება პრაქტიკულად უარს ეუბნება კონკრეტულ პირებს ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობაზე, ანუ ნებას არ აძლევს, ჩაატარონ შეკრება ან მანიფესტაცია. ვინაიდან გაფრთხილების არმიღების ინსტიტუტი თავისთავად კონსტიტუციის საწინააღმდეგოა, ბუნებრივია, არა აქვს მნიშვნელობა, რა საფუძვლით ხდება გაფრთხილების არმიღება. რადგან ნებისმიერ შემთხვევაში ხელისუფლებას ასეთი კონსტიტუციური უფლებამოსილება არ გააჩნია“ - აღნიშნა საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის 5 ნოემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში[4]. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ის პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა შეკრების ჩატარების შესახებ წინასწარი გაფრთხილების არმიღებას მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

❖ 2009 წლის საკანონმდებლო ცვლილებები

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში არსებითი ცვლილებები შევიდა 2009 წელს. ამ ცვლილებებმა გადაჭარბებულად შეზღუდა მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება[5]. კერძოდ,, მკვეთრად გაიზარდა იმ სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელთა შენობების შესასვლელებიდან 20 მეტრის რადიუსის ტერიტორიაზე აიკრძალა შეკრებების გამართვა. ამ ჩამონათვალში შედიოდა: ყველა სამთავრობო დაწესებულება და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, პარლამენტი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საკონსტიტუციო სასამართლო, უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოები, პროკურატურის, პოლიციის, სასჯელაღსრულების

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2002 წლის 5 ნოემბერი: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=241

[4] იგივე,

[5] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება - უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი“, 2020 წ. გვ. 5: https://ombudsman.ge/res/docs/2020061620213679437.pdf

დაწესებულებები და სამართალდამცავი ორგანოები, სამხედრო ნაწილები და ობიექტები, რკინიგზის სადგურები, აეროპორტები, პორტები, საავადმყოფოები, დიპლომატიური დაწესებულებები, შრომის უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის ან შეიარაღებული დაცვის მქონე საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები. ცვლილებების თანახმად, აიკრძალა ნებისმიერი შენობის ბლოკირება[6].

ზემოაღნიშნული აკრძალვები გადაჭარბებულად შეაფასა ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიამ. 2009 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული მოსაზრებების თანახმად, სამთავრობო დაწესებულებების შენობების შესასვლებებიდან 20 მეტრის რადიუსის ტერიტორიაზე შეკრებების აკრძალვასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიამ განაცხადა: „იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელი არ არის თითოეული შემთხვევის სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინება, კანონმდებლობაში ასეთი ბლანკეტური აკრძალვების შემოღება (და მათი შემდგომი გამოყენება) შესაძლოა, არაპროპორციულად იქნას მიჩნეული, თუ არ მოხდა მწვავე სოციალური საჭიროების დემონსტრირება“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, ვენეციის კომისიამ განაცხადა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტექსტი წარმოადგენდა საკმარის საფუძველს შეკრების შეზღუდვის საკითხის გადასაწყვეტად, მათ შორის - შეკრების გამართვის ადგილთან დაკავშირებით „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე“[7]. ვენეციის კომისიამ რეკომენდაცია მისცა საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს, კანონმდებლობაში შემოეღოთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის მეორე ნაწილის მსგავსი ჩანაწერი, რომელიც განსაზღვრავს უფლების შეზღუდვის საფუძვლებს და მასზე დაყრდნობით შეეფასებინათ ინდივიდუალურ შემთხვევებში უფლებაში შესაძლო ჩარევის საკითხი[8].

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაუშვებელია შეკრების თავისუფლების განხორციელების შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევისა, „როცა ეს გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად,

[6] საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე, 2009: https://matsne.gov.ge/ka/document/view/89572?publication=0

[7] ვენეციის კომისია, ევროპის საბჭო, კომენტარები შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონთან დაკავშირებით, 2009 წ. 1 ოქტომბერი: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL(2009)153-e

[8] იგივე.

ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“[9].

- **2010 წელს მიღებული კანონპროექტი**

2010 წლის 1 მარტს, საქართველოს მთავრობამ ვენეციის კომისიას წარუდგინა კანონპროექტი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. კანონპროექტი, სხვადასხვა ცვლილებებთან ერთად, მოიცავდა:

ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც უფლების შეზღუდვა მიმართული უნდა ყოფილიყო საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით (კონსტიტუციის ამჟამინდელი რედაქციით, მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი) დაცული სიკეთეების მიღწევისაკენ. კონსტიტუციის ეს მუხლი აყალიბებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებს: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, სხვათა უფლებების დაცვა, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა;

უფლების შეზღუდვის პროპორციულობის განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც „შეზღუდვის პროპორციულობა“ არის საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით (კონსტიტუციის ამჟამინდელი რედაქციით - მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი) დაცული სიკეთეების შესაბამისი შეზღუდვა, რომელიც ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი და ყველაზე ნაკლებად შემზღუდველი საშუალებაა. უფრო მკაცრი ზომები გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცული სიკეთეების მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელია“;

გაუქმდა ბლანკეტური აკრძალვა ყველა სამთავრობო დაწესებულების შენობისა და პარლამენტისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობების შესასვლელებიდან 20 მეტრის რადიუსში შეკრებების ჩატარებასთან დაკავშირებით. ძალაში დარჩა აკრძალვა შემდეგი დაწესებულებების შენობებთან მიმართებით: საკონსტიტუციო სასამართლო, უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოები, პროკურატურა, პოლიცია, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები, სამართალდამცავი ორგანოები, რკინიგზის სადგურები, აეროპორტები, პორტები. გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზეც ტარდებოდა შეკრება ან მანიფესტაცია, მიენიჭა შეზღუდვის დაწესების

[9] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 11, ნაწილი 2: https://www.echr.coe.int/documents/convention_kat.pdf

უფლებამოსილება შეკრების ან მანიფესტაციის შენობიდან მოშორებით ჩატარებასთან დაკავშირებით, მაგრამ არაუმეტეს ოცი მეტრისა.

ვენეციის კომისია მიესალმა საქართველოს ხელისუფლების მცდელობას, შესაბამისობაში მოეყვანა კანონმდებლობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. თუმცა, კომისიამ პრობლემურად შეაფასა ის ფაქტი, რომ კანონპროექტი ითვალისწინებდა მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას ისეთი საფუძვლებით, რომელიც განსაზღვრული არ იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის მეორე ნაწილით10. ასეთ საფუძვლებს წარმოადგენდა: „კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა“[11].

ვენეციის კომისიამ პოზიტიურად შეაფასა გარკვეული სამთავრობო დაწესებულებების შენობების შესასვლელებიდან 20 მეტრის რადიუსში შეკრებების გამართვის ბლანკეტური აკრძალვის მოხსნა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს დაწესებულებები წარმოადგენდა მნიშვნელოვან ადგილს პოლიტიკური ხასიათის დემონსტრაციების გასამართად. თუმცა, გააკრიტიკა შეკრების აკრძალვის შენარჩუნება საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს, საერთო სასამართლოების, პროკურატურის, პოლიციის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების, სამართალდამცავი ორგანოების, რკინიგზის სადგურების, აეროპორტებისა და პორტების მიმდებარედ. ვენეციის კომისიის შეფასებით, მსგავსი შეზღუდვები უნდა გადაწყვეტილიყო ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე, კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით ისე, რომ დაცული ყოფილიყო ბალანსი აღნიშნული დაწესებულებების უსაფრთხო ფუნქციონირების საჭიროებასა და მშვიდობიანი შეკრების ინდივიდუალურ უფლებას შორის[12].

საქართველოს ხელისუფლების მიერ ვენეციის კომისიისათვის 2010 წელს წარდგენილ კანონპროექტში გათვალისწინებული იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომლის თაობაზეც ვენეციის კომისიამ 2009 წელს გასცა რეკომენდაცია.

---

[10] ევროპული კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით, ევროპის საბჭო - „შუალედური შეფასებები „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონპროექტთან დაკავშირებით, 2010 წლის 15 მარტი: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)009-e

[11] იგივე.

[12] ევროპული კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით, ევროპის საბჭო - „შუალედური შეფასებები „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონპროექტთან დაკავშირებით, 2010 წ. 15 მარტი: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)009-e

2009 წლის 1 ოქტომბერს, ვენეციის კომისიამ შეაფასა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულება, რომლის მიხედვითაც, შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისას და ჩატარებისას დაუშვებელი იყო მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისაკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც წარმოადგენდა ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებდა ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. ვენეციის კომისიამ გაიხსენა ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის 2008 წლის გაიდლაინები, რომლის თანახმად, კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი გზით შეცვლის შესახებ მოწოდებები შესაძლოა, ყოფილიყო შეკრების შეზღუდვის საფუძველი იმ შემთხვევაში, თუ ისინი ქმედების „მყისიერი“ განხორციელების საფრთხეს ქმნიდა. ისეთ მოწოდებები კი, რომელიც კონსტიტუციური წყობილების არაძალადობრივი გზით შეცვლისაკენ იყო მიმართული, დაცული იყო მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით[13].

საქართველოს ხელისუფლების მიერ 2020 წელს შემუშავებული კანონპროექტი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში ცვლილებების თაობაზე ითვალისწინებდა აღნიშნულ ჩანაწერში ცვლილების შეტანას. ახალი ფორმულირებით, ზემოაღნიშნული მოწოდებები იკრძალებოდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოქმნიდა ქმედების განხორციელების „აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს“. მოცემული ცვლილება ვენეციის კომისიამ დადებითად შეაფასა 2010 წლის შუალედურ მოსაზრებაში.

კონსტიტუციური წყობილების დამხობისაკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ მოწოდებების აკრძალვის შესახებ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში არსებული პირვანდელი ჩანაწერი შეაფასა ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წლის 18 აპრილს გამოტანილ გადაწყვეტილებაში. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმა კრძალავდა ისეთ მოწოდებებს, რომელიც დანაშაულის ჩადენის რეალურ საფრთხეს ქმნიდა. სადავო ნორმის რეგულირების სფეროს არ მიეკუთვნებოდა ისეთი გამონათქვამები, რომლებიც ფორმალურად „დამხობისკენ მოწოდების“ სიტყვებს შეიცავდნენ, მაგრამ კონტექსტი, რომელშიც ეს სიტყვები იყო წარმოთქმული, არ ქმნიდა დანაშაულის ჩადენის რეალურ საფრთხეს[14].

---

[13] ევროპული კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია), ევროპის საბჭო, კომენტარები შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონთან დაკავშირებით, 2009 წლის 1 ოქტომბერი:
https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL(2009)153-e

[14] პარაგრაფები 105-106, საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება:
https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=401

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციური წყობილების „დამხობა“ გულისხმობდა არსებული წყობილების ძალადობრივი გზით განადგურებას. ხოლო კონსტიტუციური წყობილების „ძალადობრივი გზით შეცვლა“ - არსებული სისტემის ალტერნატიულით ჩანაცვლებას, ასევე ძალადობრივი მეთოდებით. ორივე ქმედება მოიცავდა ძალადობის ელემენტს15. საკონსტიტუციო სასამართალოს შეფასებით, ხელისუფლების „დამხობა“ არ უნდა გაიგივებულიყო ცვლილებებთან, რომელიც შესაძლოა, მშვიდობიანი ხასიათის შეკრებებს ან მანიფესტაციებს მოჰყოლოდა შედეგად. „მოქალაქეებს კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული უფლება, შეიკრიბონ და გამოხატონ საკუთარი ნება, დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ, რაც, თავის მხრივ, შეიძლება გავლენას ახდენდეს მიმდინარე პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პროცესებზე, იწვევდეს მთავრობის ან მისი წევრის გადადგომას, პოლიტიკური წყობილების ან მმართველობის ფორმის შეცვლას“ - აღნიშნა სასამართლომ16.

2011 წლის გადაწყვეტილებაში, საკონსტიტუციო სასამართლომ, სხვა საკითხებთან ერთად, შეაფასა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში 2009 წელს შეტანილი ცვლილებები, კერძოდ - შეკრების აკრძალვა სამთავრობო დაწესებულებების ვრცელ ჩამონათვალთან მიმართებით, მათი შენობების შემოსასვლელებიდან 20 მეტრის რადიუსში. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, კონსტიტუციით დაცული მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება შეკრების ჩატარების მიზნით კონკრეტული ადგილის არჩევის თავისუფლებას მოიცავს, რისი შეზღუდვაც მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის არსებობის და ამ მიზნის თანაზომადი საშუალების გამოყენების შემთხვევაში არის გამართლებული17. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ჩამოთვლილი დაწესებულებები მნიშვნელოვან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ფუნქციებს ასრულებდნენ და მათი ეფექტური საქმიანობა სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, შეკრების ჩატარებაზე დადგენილი ტერიტორიული შეზღუდვის კონსტიტუციასთან შესაბამისობა, კონკრეტული ვითარების და დაწესებულების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, მისი ფუნქციური დანიშნულებისა და მის სიახლოვეს შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარებით გამოწვეული საფრთხის შეფასების საფუძველზე უნდა განისაზღვროს. მოცემულ შემთხვევაში, პრობლემას წარმოადგენდა აკრძალვის ბლანკეტური ხასიათი, რადგანაც კანონით გათვალისწინებული დაწესებულებების განსხვავებულობის მიუხედავად,

[15] პარაგრაფი 89, საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=401
[16] პარაგრაფი 91, საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=401
[17] პარაგრაფი 55, საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=401

კანონმდებელმა ყველა დაწესებულების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომა გამოიჩინა და იდენტური შეზღუდვა დაადგინა. „მსგავსი შეზღუდვის არსებობა ზოგიერთ დაწესებულებასთან, მისი კომპეტენციისა და საქმიანობის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, შეიძლება გამართლებული იყოს, ზოგიერთთან კი არა“ - აღნიშნა სასამართლომ[18].

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა პოზიცია, რომ არსებული შეზღუდვები შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზებას, ზოგიერთ შემთხვევაში, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდიდა, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ლანდშაფტის, ადმინისტრაციული ორგანოებისა და დაწესებულებების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, ,,დაწესებულებები ერთმანეთთან ისე მჭიდროდ შეიძლება იყოს განლაგებული, რომ მათი *შესასვლელებიდან ოცი მეტრის რადიუსები ერთმანეთს კვეთდეს. კანონით ასევე აკრძალულია ტრანსპორტის სავალი ნაწილის დაკავება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობა მოითხოვს. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ამცირებს შეკრების უფლების განხორციელებისათვის ნებადართულ საჯარო სივრცეს, რიგ შემთხვევებში კი საერთოდ გამორიცხავს შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარების შესაძლებლობას“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ნორმა იმაზე მეტად ზღუდავდა ადამიანის უფლებას, ვიდრე ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად იყო საჭირო*[19]. მოცემული ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებები შეკრების ადგილმდებარეობის შეზღუდვასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის მოსაზრებების მსგავსია. ორივე ინსტიტუტი ეწინააღმდეგება ბლანკეტურ შეზღუდვებს, რომლებიც შესაძლებლობას არ იძლევა, საკითხი ინდივიდუალური მიდგომით, კონკრეტული ვითარების ინდივიდუალური თავისებურებების შეფასების საფუძველზე გადაწყდეს. მსგავსი ბლანკეტური მიდგომა გამორიცხავს ბალანსის დაცვის შესაძლებლობას მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასა და სხვათა უფლებებს შორის და მშვიდობიანი შეკრების უფლებაში იმაზე მეტად ჩარევის რისკებს წარმოქმნის, ვიდრე ამის რეალური საჭიროება არსებობს.

2011 წლის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე შეაფასა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმა, რომლის მიხედვითაც შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვა საერთო სასამართლოების შენობებიდან ოცი მეტრის რადიუსში ადმინისტრაციულ

[18] პარაგრაფი 56, საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=401

[19] პარაგრაფი 58, საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=401

სამართალდარღვევას წარმოადგენდა. ზემოაღწერილი შეზღუდვის მსგავსად, მოცემულ შემთხვევაშიც, სასამართლომ მიიჩნია რომ სადავო ნორმა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა - სასამართლოს შეუფერხებელი მუშაობის, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას. ამავე დროს, საერთო სასამართლოების შენობებიდან ოცი მეტრის რადიუსში შეკრების აკრძალვა წარმოადგენდა არაპროპორციულად მკაცრ საშუალებას ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად[20].

„სასამართლოს სიახლოვეს საკუთარი აზრის გამოხატვის, შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარების უფლება გარანტირებული უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ უფლების რეალიზაცია სასამართლოს შეუფერხებელ მუშაობას უშლის ხელს. უფლების შეზღუდვა ასევე სასამართლოში მიმდინარე პროცესის უსაფრთხოების მოთხოვნებით შეიძლება იყოს გამართლებული“, - აღნიშნა საკონსტიტუციო სასამართლომ[21]. სადავო ნორმა უფლების რეალიზების შესაძლებლობას იმ შემთხვევაშიც გამორიცხავდა, როდესაც შეკრება საზოგადოებრივი წესრიგის ან სხვათა უფლებების დარღვევების საფრთხეს არ წარმოშობდა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო იგი კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიიჩნია[22].

❖ 2011 წლის საკანონმდებლო ცვლილებები

2011 წლის ივლისში, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში რამდენიმე ცვლილება და დამატება შევიდა, მათ შორის, დეტალურად გაიწერა მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შეზღუდვის კრიტერიუმები. ახალი დებულების თანახმად, მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) შეზღუდვა მიმართულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით (კონსტიტუციის ამჟამინდელი რედაქციით, მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით) დაცული სიკეთეების მიღწევისაკენ;

ბ) შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით;

გ) შეზღუდვა აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის;

დ) შეზღუდვა არადისკრიმინაციულია;

ე) შეზღუდვა პროპორციულია;

---

[20] პარაგრაფი 60, საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=401

[21] *იგივე*

[22] პარაგრაფი 61, საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=401

3) შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს[23].

უფლების შეზღუდვის პროპორციულობა შემდეგნაირად განისაზღვრა: „შეზღუდვის პროპორციულობა“ არის საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცული სიკეთეების შესაბამისი შეზღუდვა, რომელიც ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი და ყველაზე ნაკლებად შემზღუდველი საშუალებაა. უფრო მკაცრი ზომები გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცული სიკეთეების მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელია“[24].

2011 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, შეიკვეცა იმ სამთავრობო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელთა შენობებიდან ოცი მეტრის რადიუსში აკრძალულია შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვა. შეზღუდვა ძალაში დარჩა შემდეგ დაწესებულებებთან მიმართებით: პროკურატურა, პოლიცია, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები[25], სამართალდამცავი ორგანოები, რკინიგზის სადგურები, აეროპორტები, პორტები. ცვლილებების თანახმად, შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარებისას აბსოლუტურად აიკრძალა შენობების შესასვლელების, ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის ბლოკირება[26].

2011 წელს მიღებული ცვლილებების თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო, რომლის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზეც ტარდება შეკრება ან მანიფესტაცია, შენობის ბლოკირებისა და დაწესებულების საქმიანობის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, უფლებამოსილია დააწესოს შეზღუდვა შეკრების ან მანიფესტაციის შენობიდან მოშორებით ჩატარებასთან დაკავშირებით. შეზღუდვა შესაძლოა, დაწესდეს შენობის მიმდებარე არაუმეტეს ოცი მეტრის რადიუსის ტერიტორიაზე. გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არსებული გარემოებისა და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, შეკრების უფლების შეზღუდვის კრიტერიუმების დაცვით, ისე, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის კონსტიტუციური უფლების არსი არ იყოს უგულებელყოფილი[27].

---

[23] საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2011 წლის 1 ივლისი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405292?publication=0

[24] იგივე.

[25] ჩანაწერი „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება“ 2015 წელს კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, შეიცვალა ჩანაწერით „პენიტენციური დაწესებულება’’: http://sps.gov.ge/images/files/pdf/text_14206258940.pdf

[26] საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2011 წლის 1 ივლისი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405292?publication=0

[27] იგივე.

2011 წელს მიღებული ცვლილებების თანახმად, სასამართლო, რომლის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზეც ტარდება შეკრება ან მანიფესტაცია, შენობის ბლოკირების, დაწესებულების საქმიანობის შეფერხების თავიდან აცილებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნით უფლებამოსილია დააწესოს შეზღუდვა შეკრების ან მანიფესტაციის შენობიდან მოშორებით ჩატარებასთან დაკავშირებით. შეზღუდვა შესაძლოა, დაწესდეს შენობის მიმდებარე არაუმეტეს ოცი მეტრის რადიუსის ტერიტორიაზე. გადაწყვეტილება მიიღება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არსებული გარემოებისა და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, შეკრების უფლების შეზღუდვის კრიტერიუმების დაცვით, ისე, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის კონსტიტუციური უფლების არსი არ იყოს უგულებელყოფილი[28].

2011 წელს მიღებული ცვლილებებით დაკონკრეტდა, თუ რა სახის მოწოდებები იკრძალებოდა შეკრებებსა და მანიფესტაციებზე. ცვლილებების თანახმად, „დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისაკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს“[29].

2011 წელს მიღებულმა ცვლილებებმა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. თუმცა, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში კვლავ არსებობს არსებითი ხარვეზები, რომლებიც აბრკოლებს მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების სრულფასოვან რეალიზაციას.

შეკრების უფლების შეზღუდვის კონკრეტული კრიტერიუმების კანონმდებლობაში ასახვა მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. როგორც ვენეციის კომისიამ აღნიშნა 2011 წელს გამოქვეყნებულ საბოლოო მოსაზრებებში, 2011 წლის ივლისში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შემოიღო უფლების შეზღუდვის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრინციპები - კანონიერება, აუცილებლობა და პროპორციულობა[30].

---

[28] იგივე.
[29] იგივე.
[30] ევროპული კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია), ევროპის საბჭო - „საბოლოო მოსაზრებები „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში ცვლილებებთან დაკავშირებით“, 2011 წლის 17 ოქტომბერი:
https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL(2009)153-e

2011 წლის ცვლილებებით, შეკრების უფლება შესაძლოა, შეიზღუდოს იმაზე ფართო საფუძვლებით, ვიდრე ეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით არის გათვალისწინებული. შეზღუდვის საფუძვლებს შორის არის „კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება“ და „სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა“. როგორც ვენეციის კომისიამ აღნიშნა 2011 წელს გამოქვეყნებულ საბოლოო მოსაზრებებში, მოცემული საფუძვლები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის მეორე ნაწილით, შესაძლოა, წარმოადგენდეს მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველს ზოგიერთ შემთხვევაში, მაგრამ, არა ავტომატურად[31]. ვენეციის კომისიამ რეკომენდაცია გასცა, შესაბამისობაში მოსულიყო აღნიშნული ნორმა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულ შეზღუდვის საფუძვლების მკაცრად გაწერილ და ამომწურავ ჩამონათვალთან[32]. ეს რეკომენდაცია საქართველოს ხელისუფლების მიერ დღემდე არ შესრულებულა.

2011 წლის ცვლილებების კიდევ ერთ პრობლემურ ასპექტს წარმოადგენდა შენობების შესასვლელების ბლოკირების აბსოლუტური აკრძალვა. ეს დებულება კანონმდებლობაში დღემდე ამ სახით არსებობს. ასეთი აკრძალვა გადაჭარბებულია, რადგან იგი გამორიცხავს კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური შეფასების შესაძლებლობას და სათანადო შემწყნარებლობის გამოჩენას, როდესაც შენობების შესასვლელების ბლოკირება საფრთხეს არ წარმოადგენს საჯარო ინტერესებისათვის. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა გადაწყვეტილებაში საქმეზე ოლია ატამანი თურქეთის წინააღმდეგ, „როდესაც დემონსტრანტები არ არიან ჩართული ძალადობრივ მოქმედებებში, მნიშვნელოვანია, საჯარო უწყებებმა გამოიჩინონ ტოლერანტობის გარკვეული ხარისხი მშვიდობიანი შეკრებების მიმართ, რათა არ დაირღვეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების არსი“[33]. როგორც საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნა, თუ რა წარმოადგენს „შემწყნარებლობის სათანადო ხარისხს“, შეუძლებელია. განისაზღვროს in abstracto. უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებები, განსაკუთრებით კი, „ცხოვრების ჩვეული რიტმის“ დარღვევის ფარგლები[34].

---

[31] იგივე.
[32] იგივე.
[33] პარაგრაფი 42, გადაწყვეტილება საქმეზე *,,ოლია ატამანი თურქეთის წინააღმდეგ''*, 2006 წლის 5 დეკემბერი: https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-78330%22]}
[34] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - ,,მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება - უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი", 2020, გვ. 17-18: https://www.ombudsman.ge/res/docs/2020061620213679437.pdf

პრობლემურია ასევე ის ფაქტი, რომ 2011 წლის ცვლილებებით, ძალაში დარჩა ბლანკეტური აკრძალვა შემდეგი დაწესებულებების შენობებიდან ოცი მეტრის რადიუსში შეკრებების ჩატარებასთან დაკავშირებით: პროკურატურა, პოლიცია, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება (ამჟამინდელი რედაქციით: „პენიტენციური დაწესებულებები“) და სამართალდამცავი ორგანოები. მსგავსი ბლანკეტური აკრძალვა არ იძლევა კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე გადაწყვეტის საშუალებას. ამ მუხლის საფუძველზე, მშვიდობიანი შეკრება იმ შემთხვევებშიც შესაძლოა, შეიზღუდოს, როდესაც იგი საფრთხეს არ უქმნის მიმდებარე დაწესებულების საქმიანობას. მსგავსი მიდგომა კი არ შეესაბამება მშვიდობიანი შეკრების უფლების შეზღუდვის არსს, რომლის თანახმად, შეზღუდვის დროს დაცული უნდა იყოს ბალანსი კონკრეტულ საჯარო ინტერესსა და შეკრების ინდივიდუალურ უფლებას შორის.

შეკრებების ადმინისტრირება

❖ წინასწარი გაფრთხილების პროცედურა

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თუ შეკრება ან მანიფესტაცია იმართება ტრანსპორტის სავალ ნაწილზე ან აფერხებს ტრანსპორტის მოძრაობას, აუცილებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში წინასწარი გაფრთხილების შეტანა. სხვა სახის შეკრებების შემთხვევაში, წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება არ მოქმედებს.

წინასწარი გაფრთხილება უნდა გაკეთდეს შეკრების ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 დღისა. გაფრთხილება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: შეკრების ან მანიფესტაციის ფორმა, მისი მიზანი, ჩატარების ადგილი ან სვლაგეზი, დაწყებისა და დამთავრების დრო, თარიღი, მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა, პასუხისმგებელი პირების ვინაობა, საცხოვრებელი ადგილი (მისამართი), საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, გაფრთხილების შეტანის თარიღი და დრო[35].

კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, განიხილოს შეკრების ან მანიფესტაციის ადგილისა და დროის შეცვლის მიზანშეწონილობის საკითხი შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით. მსგავსი განხილვა უნდა მოხდეს გაფრთხილების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში. განხილვის მიზანს უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და

[35] საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მუხლი 8: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31678?publication=16

ორგანიზაციების, ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, გასცეს წერილობითი რეკომენდაცია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების ადგილისა და დროის შეცვლის შესახებ, თუ შეკრება ან მანიფესტაცია რეალურ საფრთხეს უქმნის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმალურ ფუნქციონირებას ან სხვა აქციის (რომელზედაც გაფრთხილება უფრო ადრე იქნა შეტანილი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში) ჩატარება დაგეგმილია იმავე ადგილზე და იმავე დროს[36].

❖ შეკრების დროისა და ადგილის შეზღუდვა

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, დააწესოს შეზღუდვა შეკრების დროსა და ადგილზე, რათა დაიცვას ბალანსი შეკრების ან მანიფესტაციის თავისუფლებასა და იმ პირთა უფლებებს შორის, რომლებიც ცხოვრობენ, მუშაობენ ან სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან იმ ადგილებში, სადაც მიმდინარეობს შეკრება ან მანიფესტაცია. შეზღუდვა არ წესდება, თუ ამ პირთა უფლებები დროის მცირე მონაკვეთში იზღუდება37. შეზღუდვის დაწესების შემთხვევაში, უნდა მოხდეს შეკრების ალტერნატიული ვარიანტების შეთავაზება. შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, არადისკრიმინაციული და მიზნის მიღწევის თანაზომიერი საშუალება.

❖ შეკრების აკრძალვა

კანონი უფლებამოსილებას ანიჭებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, არ დაუშვას შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, თუ არსებობს პოლიციის მიერ შემოწმებული აშკარა მონაცემები, რომლის თანახმად, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების შედეგად უშუალო საფრთხე ემუქრება კონსტიტუციურ წყობილებას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილება შეკრების ან მანიფესტაციის აკრძალვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რომელიც 2 სამუშაო დღის განმავლობაში იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას[38].

მოქალაქეთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისადმი ან კონსტიტუციური წყობილებისადმი არსებული საფრთხის შესაფასებლად და შესაბამისი

---

[36] საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მუხლი 10: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31678?publication=16

[37] საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მუხლი 11²: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31678?publication=16

[38] საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მუხლი 14: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31678?publication=16

გადაწყვეტილების მისაღებად, აიკრძალოს თუ არა შეკრება, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო არ წარმოადგენს სათანადო კომპეტენციით აღჭურვილ ინსტიტუციას. მსგავსი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ცოდნას, რესურსებსა და რისკების შეფასების კომპეტენციას ფლობენ სამართალდამცავი უწყებები. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანისათვის ამ უფლებამოსილების მინიჭების საფუძვლიანობა ბუნდოვანია და არ არის გამყარებული სათანადო არგუმენტებით.

- **შეკრების შეწყვეტა**

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის თანახმად, შეკრების ორგანიზებისას ან ჩატარებისას დაუშვებელია მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისაკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს. შეკრების მონაწილეებს ეკრძალებათ შემდეგი საგნების ქონა, inter alia: ცეცხლსასროლი იარაღი, ფეთქებადი, ადვილაალებადი, რადიოაქტიური ნივთიერება ან ცივი იარაღი, ცრემლმდენი, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან/ და მომწამვლელი ნივთიერება. კანონის ამ მოთხოვნების მასობრივი დარღვევის შემთხვევაში, შეკრება ან მანიფესტაცია უნდა შეწყდეს დაუყოვნებლივ, უფლებამოისლი წარმომადგენლის (კანონის თანახმად, „უფლებამოსილი წარმომადგენელი“ არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელი) მოთხოვნისთანავე. კანონის თანახმად, გადაწყვეტილებას შეკრების შეწყვეტის შესახებ იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელი. მონაწილეთა დაშლისთვის შესაბამის ზომებს კი სამართალდამცავი ორგანოები ატარებენ. კანონის თანახმად, შეკრების ან მანიფესტაციის არშეწყვეტის შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოები შეკრების ან მანიფესტაციის შესაწყვეტად და მის მონაწილეთა დასაშლელად გამოიყენებენ საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.

ზემოაღნიშნული დარღვევების მასობრივი ხასიათის შეფასება მოითხოვს სამართლებრივ კომპეტენციას. ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ სუბიექტად ადგილობრივი თვითმმართველობის განსაზღვრა მოკლებულია ლოგიკურ ახსნას[39].

[39] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება - უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი“, 2020, გვ. 36-37;

❖ შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება

,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ'' საქართველოს კანონი სპეციფიკურად არეგულირებს შეკრების/მანიფესტაციის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების საკითხს. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილება შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების აკრძალვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რომელიც 2 სამუშაო დღის განმავლობაში იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუმცა, მსგავსი ჩანაწერი არ არსებობს შეკრების დროისა და ადგილის შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, მოცემული გადაწყვეტილების შემთხვევაშიც, კანონმდებლობით გაიწეროს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა და სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების სწრაფი ვადა, რათა დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს შეკრების უფლების დროული რეალიზაცია.

❖ სპონტანური შეკრებები

საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზი იმ სპონტანური შეკრებების რეგულირებასთან დაკავშირებით, რომლებიც ბლოკავს ტრანსპორტის სავალ ნაწილს ან აფერხებს სტრანსპორტის მოძრაობას. „შეკრებებისა და მანიფესტაციების" შესახებ კანონის თანახმად, როდესაც შეკრებები ბლოკავს ტრანსპორტის სავალ ნაწილს ან აფერხებს ტრანსპორტის მოძრაობას, სავალდებულოა წინასწარი გაფრთხილების შეტანა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში შეკრების გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა. ეს მოთხოვნა არ შეიცავს გამონაკლისს. სპონტანური შეკრებების შემთხვევაში, რომლებიც მყისიერ რეაქციას წარმოადგენს მოულოდენლად განვითარებულ მოვლენაზე, ბუნებრივია, შესაძლებელი არ იქნება წინასწარი გაფრთხილების შეტანა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში. არსებული საკანონმდებლო ჩანაწერი ეჭვქვეშ აყენებს ასეთი სპონტანური შეკრებების გამართვისას ტრანსპორტის სავალი ნაწილის ბლოკირების ან ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხების შესაძლებლობას[40].

ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიამ ამ საკითხის შეფასებისას, ხაზი გაუსვა, რომ სპონტანური შეკრებების შემთხვევაში, დაუშვებელია წინასწარი გაფრთხილების მოთხოვნის წაყენება. კომისიამ გასცა რეკომენდაცია წინასწარი

https://www.ombudsman.ge/res/docs/2020061620213679437.pdf

[40] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება - უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი", 2020, გვ. 9;
https://www.ombudsman.ge/res/docs/2020061620213679437.pdf

გაფრთხილების შეტანის 5-დღიანი ვადის პროცედურა გამხდარიყო უფრო მოქნილი[41].

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის სექტემბრამდე პერიოდში მონიტორინგი განახორციელა 15 შეკრებაზე ქალაქ თბილისში, მათ შორის - სპონტანურ საპროტესტო აქციებზე. სამართალდამცავი პირები ნებას რთავდნენ სპონტანური შეკრების მონაწილეებს, გადაეკეტათ საავტომობილო გზა, თუ ეს გამოწვეული იყო ბუნებრივად, შეკრების მონაწილეთა ხალხმრავლობიდან გამომდინარე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამართალდამცავი ორგანოები არაერთგვაროვან მიდგომას იჩენენ პრაქტიკაში სპონტანური შეკრებების რეგულირებასთან დაკავშირებით. არსებობს შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავი პირები უფლებას არ აძლევენ სპონტანური შეკრების მონაწილეებს, დაიკავონ ტრანსპორტის სავალი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს საჭიროება ბუნებრივად არის გამოწვეული შეკრების მონაწილეთა ხალხმრავლობიდან გამომდინარე. ამის მაგალითია 2018 წლის 12 მაისს კლუბ „ბასიანის“ წინ გამართული სპონტანური შეკრება. პოლიციელები უფლებას არ აძლევდნენ შეკრების მონაწილეებს დაეკავებინათ ტრანსპორტის სავალი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ამას მოითხოვდა შეკრებილთა რაოდენობა. პროტესტის რამდენიმე მონაწილე სამართალდამცავმა პირებმა სწორედ ამ ინციდენტთან კავშირში დააკავეს[42].

კვლევის ფარგლებში გამოკითხული უფლებით მოსარგებლე სუბიექტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ, როგორც წესი, მათ არ შეაქვთ შეკრების ჩატარების შესახებ წინასწარი გაფრთხილება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში. ზოგიერთმა განაცხადა, რომ ამას კანონი არ მოითხოვს. ზოგიერთის განცხადებით კი, ამას აზრი არ ექნება, რადგანაც არ მოჰყვება რაიმე ქმედითი ნაბიჯები შესაბამისი უწყებების მხრიდან. რესპოდენტების უმრავლესობისგან მიღებული ინფორმაციით, ისინი მიმართავენ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, როდესაც სჭირდებათ გარკვეული ინფრასტრუქტურული დახმარება, მაგალითად - განათების, დასუფთავების ან საპირფარეშოების მოწყობის თვალსაზრისით. სამართალდამცავ უწყებებსაც, ძირითადად, საჭიროების შემთხვევაში უკავშირდებიან, მაგალითად, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიც არის მანიფესტაციის დროს ტრანსპორტის მოძრაობის შეწყვეტის

[41] ევროპული კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით, კომენტარების „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონთან დაკავშირებით, 2009 წ. 1 ოქტომბერი: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL(2009)153-e

[42] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება - უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი“, 2020, გვ. 7; https://www.ombudsman.ge/res/docs/2020061620213679437.pdf

კუთხით ხელშეწყობა, როდესაც შეკრების მონაწილეები ხალხმრავლობიდან გამომდინარე, იკავებენ ტრანსპორტის სავალ ნაწილს.

როგორც კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, არსებობს უფრო მეტი სიცხადის საჭიროება, თუ რა სახის ხელშეწყობა შეიძლება მოითხოვონ შეკრების ორგანიზატორებმა მუნიციპალური თუ სხვა სახელისუფლებო უწყებებისგან შეკრების გამართვის თვალსაზრისით. „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ შესახებ კანონი არ ეხება ამ საკითხს. არ არსებობს რაიმე საჯარო დოკუმენტი, რომელიც დაინტერესებულ პირებს მიაწვდიდა მსგავს ინფორმაციას და განუმარტავდა, თუ რა პროცედურები უნდა გაიარონ იმისათვის, რომ მოითხოვონ ხელშეწყობა შესაბამისი ორგანოებისაგან.

❖ შეკრებების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

ადამიანის უფლებათა ცენტრმა მიმართა თბილისისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერიებს და მოითხოვა შეკრებებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია. მოთხოვნილი ინფორმაცია შეეხებოდა პერიოდს 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 15 ივლისამდე. მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოებისაგან შემდეგი ინფორმაცია იქნა მოთხოვნილი:

- წლის განმავლობაში რამდენი აქცია გაიმართა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე? საერთო რაოდენობიდან რამდენ აქციას უძღოდა წინ წინასწარი გაფრთხილება/შეტყობინება შეკრების გამართვის შესახებ? რა წარმოადგენდა შეკრების ფორმასა და მიზანს? ვინ იყო შეკრების ორგანიზატორი? რამდენ შემთხვევაში გაიმართა აქცია სპონტანურად? ვინ იყო შეკრების ორგანიზატორი სპონტანური აქციის შემთხვევაში?
- რამდენ შემთხვევაში გასცა რეკომენდაცია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების ადგილისა და დროის შეცვლასთან დაკავშირებით, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის“ მე-10 მუხლის თანახმად? რა წარმოადგენდა ადგილისა და დროის ცვლილების რეკომენდაციის საფუძველს?
- გაიცა თუ არა რეკომენდაცია შეკრების ადგილისა და დროის ცვლილების შესახებ იმის გამო რომ შეკრება ან მანიფესტაცია საფრთხეს უქმნიდა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმალურ ფუნქციონირებას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ასეთი შემთხვევების რაოდენობის შესახებ, ასევე, ვინ იყო აქციის ორგანიზატორი და რომელი საწარმოს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას უქმნიდა საფრთხეს შეკრება ან მანიფესტაცია?
- გაიცა თუ არა რეკომენდაცია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების

ადგილისა და დროის შეცვლასთან დაკავშირებით იმის გამო რომ სხვა აქციის ჩატარება (რომელზედაც გაფრთხილება უფრო ადრე იქნა შეტანილი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში) დაგეგმილი იყო იმავე ადგილზე და იმავე დროს? გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ასეთი შემთხვევების რაოდენობის შესახებ, ასევე, ვინ იყო ერთდროული აქციების ორგანიზატორები და რა წარმოადგენდა აქციების თემატიკას?

- გაიცა თუ არა რეკომენდაცია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების ადგილისა და დროის შეცვლასთან დაკავშირებით რაიმე სხვა საფუძვლით? თუ კი, რა იყო აღნიშნული საფუძველი?
- რა მოჰყვა ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გაცემას? გაითვალისწინეს თუ არა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გაცემული რეკომენდაციები შეკრების ორგანიზატორებმა? შეცვალეს თუ არა დაგეგმილი აქციის ადგილი და დრო?
- წლის განმავლობაში ხომ არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეზღუდა შეკრების დრო და ადგილი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის“ მუხლი 11^2-ის მე-2 პუნქტის თანახმად? რა ფორმით იქნა მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება? გასაჩივრდა თუ არა აღნიშნული გადაწყვეტილება? რა შედეგით დასრულდა გასაჩივრება?
- რამდენ შემთხვევაში არ დაუშვა შეკრება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად? რა ფორმით იქნა [L SEP]მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება? გასაჩივრდა თუ არა აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლოში? რა შედეგით დასრულდა გასაჩივრება?
- რამდენ შემთხვევაში მოხდა ტრანსპორტის სავალი ნაწილის დაკავება შეკრების მონაწილეთა მიერ ისე რომ ამას არ მოითხოვდა აქციის მონაწილეთა რაოდენობა? რამდენ შემთხვევაში იქნა მიღებული გადაწყვეტილება ტრანსპორტის სავალი ნაწილის გახსნის ან/და ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის შესახებ? რამდენ შემთხვევაში მოხდა ტრანსპორტის სავალი ნაწილის დაკავება შეკრების მონაწილეთა მიერ ისე რომ ამას მოითხოვდა აქციის მონაწილეთა რაოდენობა? გაკეთებული იყო თუ არა წინასწარი გაფრთხილება/შეტყობინება ასეთი აქციების შესახებ?
- რამდენ შემთხვევაში მოხდა აქციის დაშლა? რა საფუძვლით?

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას არ უპასუხია ადამიანის უფლებათა ცენტრის მოთხოვნაზე. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ ადამიანის უფლებათა ცენტრის მოთხოვნას ნაწილობრივ უპასუხა. მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მოთხოვნილ პერიოდში, 2021 წლის 1

იანვრიდან 2021 წლის 15 ივლისამდე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში წინასწარი გაფრთხილება (შეტყობინება) შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების შესახებ არ შესულა. შესაბამისად, რეკომენდაცია მიმართვაში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არ გაცემულა. მუნიციპალიტეტის მერიას ინფორმაცია არ მოუწოდებია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მოთხოვნილ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამართული შეკრებების რაოდენობისა და ფორმის, ასევე - სპონტანური შეკრებების შესახებ.

მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანოებმა ყურადღება მიადევნონ და დაამუშავონ ინფორმაცია მათი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამართული შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში არ არის წინასწარი გაფრთხილება შეტანილი შეკრების ჩატარებასთან დაკავშირებით. კანონმდებლობით, სწორედ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოებს აქვთ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მინიჭებული შეკრების დროისა და ადგილის შეზღუდვის, შეკრების არდაშვებისა და შეკრების შეწყვეტის შესახებ. ინფორმაცია წარსულში გამართული შეკრებებისა და მათი ხასიათის შესახებ შესაძლოა იყოს კრიტიკულად მნიშვნელოვანი მსგავსი გადაწყვეტილებების მისაღებად.

შეკრებების საპოლიციო მართვა

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პოლიცია არის პასუხისმგებელი, უზრუნველყოს შეკრებებისა და მანიფესტაციების და სხვა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოება.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს, თუ რა სახის პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები შეუძლია, განახორციელოს პოლიციამ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისათვის საფრთხის თავიდან აცილების ან მათი დარღვევის აღკვეთის მიზნით. საპოლიციო ღონისძიებები მოიცავს, inter alia: პირის გამოკითხვა, პირის იდენტიფიკაცია, ზედაპირული შემოწმება და დათვალირება, სპეციალური შემოწმება და დათვალიერება, სპეციალური საპოლიციო კონტროლი, ადგილის დატოვების მოთხოვნა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა, პირის ან სატრასნპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება და სხვ.„პოლიციის შესახებ“ კანონი ასევე განსაზღვრავს, რა სახის იძულების საშუალებები, მათ შორის - ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებები შეუძლია, გამოიყენოს პოლიციამ საპოლიციო ფუნქციების

შესასრულებლად. კანონის თანახმად, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად, პოლიციელი უფლებამოსილია, გამოიყენოს პასიური და აქტიური სპეციალური საშუალებები. პოლიციისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად პოლიციელი უფლებამოსილია, პროპორციულად გამოიყენოს გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რაც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას.

პასიური სპეციალური საშუალებები უზრუნველყოფს პოლიციელის ან/და მის მიერ დასაცავი პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას. ასეთი სპეციალური საშუალებებია: ჯავშანჟილეტი, ჩაფხუტი, ფარი, აირწინაღი და სხეულის დაცვის სხვა სპეციალური საშუალებები.

აქტიური სპეციალური საშუალებები პირს მოკლე ვადით უსპობს პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარს ან/და პოლიციელს ეხმარება საპოლიციო ფუნქციის შესრულებაში. აქტიურ სპეციალურ საშუალებებს მიეკუთვნება, inter alia: ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება, სპეციალური ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, აკუსტიკური საშუალება, არალეტალური იარაღი (მათ შორის - არალეტალური ჭურვი), ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება, დაბრკოლების დამანგრეველი საშუალება, წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, ელექტროშოკური მოწყობილობა და შესაბოჭი ბადე.

ზემოაღნიშნული ზოგადი საპოლიციო ღონისძიებები და იძულების საშუალებები, მათ შორის - სპეციალური საშუალებები, პოლიციამ შესაძლოა, გამოიყენოს შეკრებებსა და მანიფესტაციებზე, კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი გარემოებების არსებობისას.

პოლიცია აქტიურად იყენებს ზოგად საპოლიციო ღონისძიებებს შეკრებების საპოლიციო მართვისას, მათ შორის: ადგილის დატოვების მოთხოვნასა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვას, პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვას. ადგილის დატოვების მოთხოვნა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიებაა, რასაც პოლიცია მიმართავს ერთდროული შეკრებების დროს დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონფრონტაციის თავიდან აცილების მიზნით[43].

[43] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება - უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი“, 2020, გვ. 38; https://www.ombudsman.ge/res/docs/2020061620213679437.pdf

რაც შეეხება სპეციალურ საშუალებებს, „პოლიციის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს, თუ რა გარემოებების შემთხვევაში შეიძლება კონკრეტული სპეციალური საშუალების გამოყენება. სპეციალური საშუალებების გამოყენებისათვის კანონით განსაზღვრული საფუძვლები ზედმეტად ფართოა და არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის - გაეროს გაიდლაინებს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არალეტალური იარაღი შესაძლოა, გამოყენებულ იქნას შემდეგ შემთხვევებში: „პირზე, პოლიციელზე ან/და დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად; მართლწესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად; დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დაკავებისას ან მისი იძულების მიზნით, დატოვოს დაკავებული ტერიტორია, სატრანსპორტო საშუალება ან შენობა-ნაგებობა, სადაც თავს აფარებს“44. მოცემული გარემოებები გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე „ნაკლებად ლეტარული იარაღის სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოყენებასთან *დაკავშირებით გაეროს ადამიანის უფლებათა გაიდლაინები“.* გაიდლაინების თანახმად, კინეტიკური ზემოქმედების ჭურვი, როგორც წესი, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას შემდეგ შემთხვევებში - ***„სამართალდამცავი პირის ან საზოგადოების წევრის ფიზიკური დაზიანების მყისიერი საფრთხის აღსაკვეთად“[45].*** „საერთაშორისო ამინისტიის“ გაიდლაინების თანახმად, გაეროს ძირითადი პრინციპების შესახებ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალისა და იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით, ***„კინეტიკური ზემოქმედების ჭურვი შესაძლოა, გამოყენებულ იქნას მხოლოდ ძალადობაში მონაწილე პირების შესაჩერებლად. დაუშვებელია მისი, როგორც ზოგადი საშუალების გამოყენება ხალხის მასის დასაშლელად“[46].*** „საერთაშორისო ამინისტიის“ გაიდლაინები ასევე აღნიშნავს: ***„რეზინის ტყვიები შესაძლოა, გამოყენებულ იქნას მხოლოდ თავდაცვითი მიზნით, როდესაც სამართალდამცავი პირების, პროტესტის მონაწილეთა თუ სხვა პირთა მიმართ არსებობს ფიზიკური დაზიანების საფრთხე. მათი გამოყენება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დემონსტრაციის დაშლის ზოგად საშუალებად”[47].***

მიუხედავად იმისა, რომ რეზინის ტყვიები მიჩნეულია ნაკლებად ლეტარულ

---

[44] ,,კანონი პოლიციის შესახებ'', მუხლი 33, ნაწილი მე-3, პუნქტი „გ“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2047533?publication=29

[45] გაეროს ადამიანის უფლებათა გაიდლაინები ნაკლებად ლეტარული იარაღის სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოყენებასთან დაკავშირებით, პუნქტი 7.5.2: https://www.ohchr.org/Documents/HRBodies/CCPR/LLW_Guidance.pdf

[46] ,,საერთაშორისო ამნისტიის'' გაიდლაინები გაეროს ძირითადი პრინციპების შესახებ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალისა და იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით, პარაგრაფი 7.4.2; https://www.amnestyusa.org/files/amnesty_international_guidelines_on_use_of_force-2.pdf

[47] *იგივე*

იარაღად, მათ გამოყენებას გარკვეული გზით ან გარკვეულ გარემოებებში შესაძლოა, მოჰყვეს ლეტალური შედეგი ან მძიმე ფიზიკური დაზიანება. შესაბამისად, რეზინის ტყვიების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში და სპეციალური წესების დაცვით[48].

2019 წლის 20-21 ივნისს, პარლამენტის წინ გამართულ ანტისაოკუპაციო აქციაზე, სამართალდამცავმა პირებმა ინტენსიურად გამოიყენეს რეზინის ტყვიები შეკრების იმ მონაწილეთა წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობას არ იღებდნენ ძალადობრივ მოქმედებებში და არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ გარშემომყოფთათვის. რეზინის ტყვიების გაუმართლებელი გამოყენების შედეგად, ათეულობით ადამიანმა მიიღო მძიმე ფიზიკური დაზიანება. რეზინის ტყვიების მსგავსი გამოყენება ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ სამართალდამცავი პირები მათ იყენებდნენ, როგორც ზოგად საშუალებას ხალხის მასის დასაშლელად და არა მათი მხრიდან მომდინარე ინდივიდუალური საფრთხის აღსაკვეთად.

შინაგან საქმეთა მინისტრის N1002 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის შესახებ“ უფრო დეტალურად არეგულირებს სპეციალური საშუალებების, მათ შორის - ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენების საკითხს და განსაზღვრავს მათი გამოყენების კონკრეტულ წესებს. 20-21 ივნისს, სამართალდამცავმა პირებმა რეზინის ტყვიები ამ რეგულაციების დარღვევით გამოიყენეს. N1002 ბრძანების თანახმად, *„სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს ეკრძალება არალეტალური იარაღისა და არალეტალური ჭურვის გამოყენება ოცი მეტრის დისტანციაზე ახლოს მყოფი პირის წინააღმდეგ, ასევე - სხეულის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის სახიფათო ადგილებში (თავი, კისერი, მუცელი, გენიტალიები), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს პირის ან პირთა ჯგუფის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფა ან სხვა მძიმე შედეგი“*[49]. *2019 წლის* 20-21 ივნისის აქციაზე ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავი პირები რეზინის ტყვიებს ესროდნენ 20 მეტრის მანძილზე ახლოს მყოფ პირებს, სასიცოცხლო ორგანოების მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ სამიზნე პირები არ უქმნიდნენ საფრთხეს სხვა პირის სიცოცხლეს თუ ჯანმრთელობას.

N1002 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციას „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის შესახებ“ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის

[48] *იგივე*

[49] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002 ბრძანების დანართი, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

სტატუსი აქვს[50], რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ არის კანონმდებლობის ნაწილი და არ წარმოადგენს ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ საჯარო დოკუმენტს. სპეციალური საშუალებების გამოყენების საკითხი მნიშვნელოვანია, დარეგულირდეს ნორმატიული აქტით, მსგავსი მნიშვნელობის მქონე საკითხის მოსაწესრიგებლად სათანადო ლეგიტიმაციის მქონე სამართლებრივი აქტით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, საქმეზე *კილიცი თურქეთის წინააღმდეგ,* საკანონმდებლო დებულებები, რომელიც განსაზღვრავს სამართალდამცავი პირების მიერ რეზინის ტყვიების გამოყენების გარემოებებს, არ არის საკმარისი, **თუ არ არსებობს სპეციალური რეგულაციები სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ, რომელიც *„ინდივიდების ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვის სათანადო ხარისხს“* უზრუნველყოფს[51].** ინდივიდების ფიზიკური დაზიანებებისაგან დაცვის სათანადო ხარისხი ვერ იქნება უზრუნველყოფილი მხოლოდ შიდაუწყებრივი სამართლებრივი აქტით, რომელსაც არ აქვს ნორმატიული აქტის სტატუსი და რომლის შინაარსი ფართო საზოგადოებისათვის უცნობია.

„პოლიციის შესახებ კანონი“ ზედმეტად ფართო საფუძვლებს განსაზღვრავს წყლის ჭავლის გამოყენებისთვისაც. კანონის თანახმად, წყლის ჭავლი შესაძლოა, გამოყენებულ იქნას *„მართლწესრიგის* მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ობიექტზე ჯგუფური თავდასხმის მოსაგერიებლად, სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაჩერებლად, რომლის მძღოლმა არ შეასრულა პოლიციელის მოთხოვნა გაჩერების შესახებ, შეიარაღებული დამნაშავის დასაკავებლად“[52].

გაეროს გაიდლაინების თანახმად—— სამართალდამცავი ორგანოების მიერ ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით, როგორც წესი, წყლის ჭავლი გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს *„სიცოცხლის ხელყოფის, სერიოზული ფიზიკური დაზიანების ან საკუთრების ფართომასშტაბიანი განადგურების მნიშვნელოვანი ალბათობა“[53].* წყლის ჭავლის გამოყენების შესახებ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ჩანაწერი ქმნის შესაძლებლობას, წყლის ჭავლი გამოყენებულ იქნას ამ შემთხვევების მიღმა, ისეთ სიტუაციებში, როცა მართლწესრიგის დარღვევას აქვს

[50] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება - უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი“, 2020, გვ. 38;
https://www.ombudsman.ge/res/docs/2020061620213679437.pdf
[51] გადაწყვეტილება საქმეზე *კილიცი თურქეთის წინააღმდეგ,* 2018 წ. 27 ნოემბერი, პარაგრაფი 35:
https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-187829%22]}
[52] ,,კანონი პოლიციის შესახებ'', მუხლი 33, ნაწილი მე-3, პუნქტი „ზ“:
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2047533?publication=29
[53] გაეროს გაიდლაინები სამართალდამცავი ორგანოების მიერ ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით, პარაგრაფი 7.7.2;
https://www.ohchr.org/Documents/HRBodies/CCPR/LLW_Guidance.pdf

არაძალადობრივი და არამასშტაბური ხასიათი.

სამართალდამცავმა პირებმა 2019 წელს რამდენჯერმე გამოიყენეს წყლის ჭავლი მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ. 2019 წლის 18 და 26 ნოემბერს სამართლადამცავმა პირებმა წყლის ჭავლის გამოყენებით დაშალეს მშვიდობიანი მომიტინგეები, რომლებსაც ბლოკირებული ჰქონდათ პარლამენტის შენობის შესასვლელი რამდენიმე საათის განმავლობაში[54]. სპეციალური საშუალების გადაჭარბებული გამოყენების შედეგად აქციის რამდენიმე მონაწილემ მიიღო ფიზიკური დაზიანება.

საქართველოს კანონმდებლობაში არსებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი უკავშირდება სპეციალური საშუალების გამოყენებამდე შეკრების მონაწილეთა გაფრთხილების არასათანადო რეგულირებას. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პოლიციელი ვალდებულია, სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაყოვნებამ შეიძლება, გამოიწვიოს პირის ან/და პოლიციელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა ან სხვა მძიმე შედეგი, ან შექმნილ სიტუაციაში ასეთი გაფრთხილება გაუმართლებელია ან შეუძლებელია. კანონმდებლობის მოცემული ნორმა არ განსაზღვრავს კონკრეტული სპეციალური საშუალების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. არსებითად მნიშვნელოვანია, წინასწარი გაფრთხილებისას შეკრების მონაწილეებს მიეწოდოთ ინფორმაცია, თუ რომელი სპეციალური საშუალება იქნება გამოყენებული მათ წინააღმდეგ. სპეციალური საშუალებები არის მრავალგვარი. ზოგიერთი იწვევს მძიმე ფიზიკურ დაზიანებას. ინფორმაციის მიწოდება, თუ კონკრეტულად რომელი საშუალება იქნება გამოყენებული შეკრების მონაწილეთა წინააღმდეგ, შესაძლოა, იყოს გადამწყვეტი მათ მიერ ნებაყოფლობითი დაშლის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად და ზიანის მაქსიმალურად შესამცირებლად.

სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარი გაფრთხილების საკითხს ეხება ასევე სხვა სამართლებრივი აქტები, მათ შორის - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1006 ბრძანება „პოლიციის შეიარაღებაში არსებული სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის“ შესახებ, რომელსაც ნორმატიული აქტის სტატუსი აქვს, ასევე - შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002 ბრძანება „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია.

[54] იხილეთ მოცემული ანგარიშის თავი „შენობების შესასვლელების ბლოკირება“.

თუმცა, არც ერთი ეს აქტი არ ადგენს ვალდებულებას შეკრების მონაწილეთა გაფრთხილებისას **კონკრეტული სპეციალური საშუალების შესახებ** ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით[55].

გასულ წლებში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სამართალდამცავმა პირებმა შეკრების მონაწილეები წინასწარ არ გააფრთხილეს სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე არ იყო პირის ან/და პოლიციელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მყისიერი საფრთხე. ასეთ შემთხვევას წარმოადგენდა წყლის ჭავლის გამოყენება აქციის მონაწილეთა ნაწილის წინააღმდეგ 2020 წლის 8 ნოემბერს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის წინ[56]. სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ სამართალდამცავ პირებს სათანადო ფორმით გაფრთხილება არ განუხორციელებიათ არც 2019 წლის 20-21 ივნისის ანტისაოკუპაციო აქციის დაშლამდე[57].

მაშინ როცა პოლიცია ხშირად იყენებს გადამეტებულ ძალასა და სპეციალურ საშუალებებს იმ შეკრებების წინააღმდეგ, რომლებიც კრიტიკულ პოლიტიკურ შეხედულებებს გამოხატავენ მოქმედი ხელისუფლების მიმართ, პოლიცია უფრთხის ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებას ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ჯგუფების მიმართ, რომლებიც მასობრივ ძალადობას მიმართავენ ლგბტქ+ თემის წევრების, მათი მხარდამჭერებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ.

მოქმედი ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი საპროტესტო აქციის მონაწილეების წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ გადაჭარბებული ძალის გამოყენებას გასულ წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევებში: 20-21 ივნისის ანტისაოკუპაციო აქციაზე, სადაც შეკრების მონაწილეები აპროტესტებდნენ რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ოკუპაციას და საქართველოს ხელისუფლების ლოიალურ დამოკიდებულებას რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიმართ; 2019 წლის 18 ნოემბერსა და 26 ნოემბერს პარლამენტის შენობის პიკეტირებებისას, სადაც შეკრების მონაწილეები გამოხატავდნენ პროტესტს არსებული საარჩევნო სისტემის სრულად პროპორციული სისტემით შეცვლის მოთხოვნაზე ხელისუფლების უართან დაკავშირებით; 2020 წლის 8 ნოემბრის აქციაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინ, სადაც შეკრების მონაწილეები აპროტესტებდნენ საპარლამენტო არჩევნებზე დაფიქსირებულ დარღვევებსა და არჩევნების შედეგებს; 2020 წლის 14 ნოემბრის აქციაზე სოფელ

[55] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება - უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი“, 2020, გვ. 54-55: https://www.ombudsman.ge/res/docs/2020061620213679437.pdf

[56] უფრო ვრცლად იხ. ანგარიშის თავი - „8 ნოემბრის აქცია ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინ“.

[57] უფრო ვრცლად იხ. ანგარიშის თავი - „20-21 ივნისის ანტისაოკუპაციო საპროტესტო აქცია“.

ჟონეთში ნამახვანჰესის კასკადის მშენებლობის წინააღმდეგ[58].

ლგბტქ+ თემის წევრებისა და მათი მხარდამჭერების უფლება, შეიკრიბონ საჯარო სივრცეში და მოაწყონ მსვლელობა სასურველ დროსა და ადგილზე სისტემატურად უარყოფილია საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ. სამართალდამცავი ორგანოები სათანადოდ არ იცავენ ლგბქტ+ ადამიანებსა და მათ მხარდამჭერებს აგრესიული კონტრ-დემონსტრანტებისაგან. 2021 წლის 5 ივლისს ხელისუფლებამ მოუწოდა ლგბქტ+ თემის წევრებსა და მათ მხარდამჭერებს, გაეუქმებინათ საჯარო სივრცეში დაგეგმილი მშვიდობიანი მარში. ამის საპირისპიროდ ნება მისცა ულტრამემარჯვენე ჯგუფებს, ძალადობრივი მარში მოეწყოთ ცენტრალურ რუსთაველის გამზირზე, სადაც ისინი თავს დაესხნენ და ფიზიკური დაზიანება მიაყენეს 53 ჟურნალისტსა და ოპერატორს[59]. ჰომოფობიური ჯგუფების მხრიდან მომდინარე ძალადობის მაღალი რისკების მიუხედავად, სამართალდამცავ ორგანოებს არ მიუღიათ პრევენციული ღონისძიებები ძალადობის აღსაკვეთად და კრიტიკულად მწირი საპოლიციო ძალა მიავლინეს ადგილზე მასობრივ ძალადობაზე საპასუხოდ.

არასაკმარისი საპოლიციო ძალა და აღჭურვილობა იქნა გამოყენებული ასევე 6 ივლისს, ლგბტქ+ თემისა და დაშავებული ჟურნალისტების სოლიდარობის აქციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ჰომოფობიური ჯგუფები მასობრივ ძალადობას მიმართავდნენ მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა, ჟურნალისტებისა და პოლიციელების წინააღმდეგ რამდენიმე საათის განმავლობაში, სპეციალური საშუალებებითა და დამცავი აღჭურვილობით შეიარაღებული სპეციალური დანიშნულების რაზმი ხელისუფლებამ მაშინ გამოიყვანა, როდესაც აქცია უკვე დასრულებული იყო და აქციის მონაწილეთა უმრავლესობა სპეციალური კორიდორის მეშვეობით განარიდეს პროტესტის არეალიდან.

შეკრებებზე დაფიქსირებულ კიდევ ერთ პრობლემურ ტენდენციას წარმოადგენს ადმინისტრაციული დაკავებების აქტიური გამოყენება პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ წვრილმანი ხულიგნობის ან პოლიციელის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ბრალდებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მუხლების საფუძველზე. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მიღებულია 1984 წელს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში. მისი საფუძვლიანი რეფორმირება ამ დრომდე არ განხორციელებულა. კოდექსი შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს, როგორიც არის სამართლიანი სასამართლოს გარანტიებისა და პირის პასუხისგებაში მისაცემად

[58] უფრო ვრცლად იხ. ანგარიშის თავი - ,,საპროტესტო აქციები ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობის წინააღმდეგ".

[59] უფრო ვრცლად იხ. ანგარიშის თავი - ,,ლგბტქ+ ადამიანებისა და მათი მხარდამჭერების მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება"

მტკიცების სტანდარტების არარსებობა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში პროტესტის მონაწილეებს, ძირითადად, სწორედ წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ბრალდებით აკავებენ, სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი განხილვისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების გარანტიების გარეშე, გამკაცრებული სანქციები წარმოადგენს საფრთხეს საპროტესტო მოძრაობების, მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებისა და გამოხატვის თავისუფლებისათვის.

2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის სექტემბრამდე პერიოდში ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ფარგლებში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, სადაც სამართალდამცავმა პირებმა ხელი შეუწყვეს დემონსტრაციების მსვლელობას. სამართალდამცავი პირები, საჭიროების შემთხვევაში, ტრანსპორტის მოძრაობას კეტავდნენ საავტომობილო გზებზე, რათა ხალხმრავალ დემონსტრაციას თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა მისცემოდა. ეს მაგალითები მიმოხილულია ანგარიშის თავში - „დემონსტრანტების მსვლელობის ხელშეწყობის შემთხვევები“.

კვლევის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს (მოთხოვნილი ინფორმაცია შეეხებოდა ქალაქ თბილისსა და ქუთაისს და პერიოდს - 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 15 ივლისამდე). ადამიანის უფლებათა ცენტრმა უწყებისაგან მოითხოვა შემდეგი ინფორმაცია, *inter alia:*

- რამდენ შემთხვევაში მოხდა აქციის დაშლა? რა საფუძვლით? გამოყენებულ იქნა თუ არა სპეციალური საშუალებები აქციის დაშლისას? რა სახის?
- რამდენ შემთხვევაში მოხდა აქციის მონაწილეთა დაკავება? რა საფუძვლით?
- ჰქონდა თუ არა ადგილი სამართალდამცავი პირის დისციპლინარულ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემას აქციაზე განხოციელებული მოქმედებების გამო? რამდენ შემთხვევაში? რა სახის პასუხისმგებლობა დაეკისრა სამართალდამცავ პირს?
- რამდენ შემთხვევაში მოხდა ტრანსპორტის სავალი ნაწილი დაკავება შეკრების მონაწილეთა მიერ ისე რომ ამას მოითხოვდა აქციის მონაწილეთა რაოდენობა? რამდენ შემთხვევაში იყო გაკეთებული წინასწარი გაფრთხილება/შეტყობინება მსგავსი აქციის შესახებ?
- რამდენ შემთხვევაში მოხდა ტრანსპორტის სავალი ნაწილის დაკავება შეკრების მონაწილეთა მიერ ისე, რომ ამას არ მოითხოვდა აქციის მონაწილეთა რაოდენობა? რამდენ შემთხვევაში იქნა მიღებული გადაწყვეტილება

ტრანსპორტის სავალი ნაწილის გახსნის ან/და ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის შესახებ?

- რამდენ შემთხვევაში არ იქნა დაშვებული შეკრება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის“ მე-14 მუხლის თანახმად? რა ფორმით იქნა მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება? ხომ არ გასაჩივრებულა აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლოში? რა შედეგით დასრულდა სასამართლოს მიერ საქმის განხილვა?
- რამდენ შემთხვევაში არ იქნა დაშვებული შეკრება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის“ მე-14 მუხლის თანახმად, იმის გამო, რომ იგი საფრთხეს უქმნიდა ადამიანთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას? რა ფორმით იქნა მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება? ხომ არ გასაჩივრებულა აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლოში? რა შედეგით დასრულდა სასამართლოს მიერ საქმის განხილვა?
- რამდენ შემთხვევაში შეიზღუდა შეკრების დრო და ადგილი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის“ მე-11[2] მე-2 პუნქტის თანახმად? რა ფორმით იქნა მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება? ხომ არ გასაჩივრებულა აღნიშნული გადაწყვეტილება? რა შედეგით დასრულდა გასაჩივრება?

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური პასუხის თანახმად, სამინისტრო ზემოაღნიშნულ ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით არ ამუშავებს.

ლგბტქ+ ადამიანებისა და მათი მხარდამჭერების მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

შესავალი

მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება ერთ-ერთი ფუნდამენტური სამოქალაქო უფლებაა. ეს უფლება საშუალებას იძლევა, თავისუფლად და საჯაროდ მოხდეს კრიტიკული აზრის გაზიარება და აუცილებელი საზოგადოებრივი დებატების წარმართვა მწვავე სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე. მშვიდობიანი საპროტესტო დემონსტრაცია, ფიზიკური თავშეყრის სახით, ხშირად წარმოადგენს მარგინალიზებული ჯგუფების ერთადერთ ეფექტურ გზას, რათა მათ გააჟღერონ პრობლემები, რომლებიც აწუხებთ და იბრძოლონ ცვლილებებისთვის. როგორც თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ისტორია გვაჩვენებს, ეს უფლება განსაკუთრებით ქმედითი საშუალებაა უმცირესობათა ჯგუფებისათვის, მათ შორის - ლგბტქი+ ადამიანებისათვის დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობაში დაცული უფლებები თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველასთვის, ყველა ფიზიკური და იურიდიულ პირისთვის მისი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

მიუხედავად იმისა, რომ კანონის თანახმად, მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება გარანტირებულია ყველასთვის, პრაქტიკაში განსხვავებული სურათი გვაქვს. კვლევის ერთ-ერთი რესპონდენტის ციტატა, რომელიც ლგბტქი+ თემის წარმომადგენელია და რომელიც მიმდინარე პროექტის ფარგლებში გამოიკითხა, კარგად აჯამებს იმ მდგომარეობას, რომელიც არის შექმნილი საქართველოში ლგბტქი+ ადამიანების მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობის მხრივ: ***„2012 წლიდან დგას ეს პრობლემა. ყოველწლიურად, სხვადასხვა სახის გამოწვევების წინაშე ვართ. თუმცა, 2012 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, ერთი შემთხვევა არ ყოფილა, როცა შეუზღუდავად და უპრობლემოდ მოგვეცა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა“.***

2012 წლიდან მოყოლებული ლგბტქი+ თემსა და მის მოკავშირეებს სისტემატურად ართმევენ უფლებას, თავისუფლად შეიკრიბონ მათთვის სასურველ დროსა და ადგილზე. წლიდან წლამდე ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს აგრესიული კონტრაქციებისგან ლგბტქი+ ადამიანების სათანადო დაცვას. ქალაქის ცენტრალურ ადგილებში მანიფესტაციის სახით მარშირების უფლება ვერასდროს იქნა გამოყენებული ეფექტური დაცვის არარსებობის გამო.

2013 წლის 17 მაისს მასობრივი კონტრაქციის მონაწილეებმა ძალადობრივად დაარბიეს ლგბტქი+ თემის და მათი მოკავშირეების მშვიდობიანი შეკრება, რომლებიც ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო დღეს აღნიშნავდნენ; კონტრაქციის მონაწილეები ფიზიკურად გაუსწორდნენ დემონსტრანტებს, მრავალ პირს მიაყენეს სხეულის დაზიანება[60]. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელთა კორდონი ცდილობდა ორი აქციის ერთმანეთისგან გამიჯვნას, აგრესიულად განწყობილმა კონტრაქციის მონაწილეებმა მოახერხეს კორდონის გარღვევა და ლგბტქი+ აქტივისტების

[60] ჟურნალი *ლიბერალი*, 2013 წლის 17 მაისი: https://www.youtube.com/watch?v=em7vcgEe0cs

მშვიდობიან შეკრებაზე ძალადობა. ადგილზე მყოფი პოლიციელები არ იყვნენ აღჭურვილნი სპეციალური დამცავი საშუალებებით, რასაც შესაძლოა ჰქონოდა შემაკავებელი ეფექტი ლგბქტ+ აქტივისტების წინააღმდეგ განხორციელებულ მასობრივ თავდასხმაზე[61]. 2012 წელს აგრესიულმა ბრბომ ფიზიკური ძალის გამოყენებით შეაჩერა ლგბტქი+ აქტივისტებისა და მათი მოკავშირეების მანიფესტაცია რუსთაველის გამზირზე და ფიზიკურად იძალადა არაერთ აქტივისტზე. ამის შედეგად აქტივისტები იძულებული გახდნენ, შეეწყვიტათ შეკრება[62]. ორივე შემთხვევაში, ლგბქტ+ აქტივისტების აქციის გამართვის თაობაზე ქალაქ თბილისის მერია და შინაგან საქმეთა სამინისტრო წინასწარ იყო გაფრთხილებული[63].

ძალადობის რეალური საშიშროებისა და შესაბამისი დაცვის გარანტიების არარსებობის გამო, 17 მაისის აღნიშვნა შეუძლებელი გახდა 2014, 2016 და 2019 წლებში. რაც შეეხება 2015, 2017 და 2018 წლებს, 17 მაისის დემონსტრაციები გაიმართა ლოკაციისა და დროის შეზღუდვით. ლგბტქი+ თემს ასევე არ მიეცა საშუალება, გაემართა „ღირსების მარში“ მისთვის სასურველ ლოკაციაზე 2019 წლის 18-23 ივნისის პრაიდის კვირეულის ფარგლებში [64].

2014 წლის 18 მაისს, ლგბტქი+ თემმა გამართა აქცია სახელწოდებით *„პროტესტი უხილავებისთვის* და *უხილავობის წინააღმდეგ”*, სადაც მათ გამოფინეს ფეხსაცმელები თბილისში პუშკინის მოედანზე ლგბტქი+ ადამიანების უხილავობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად[65].

2021 წლის 5 და 6 ივლისის მოვლენები

ლგბტქი+ თემს კიდევ ერთხელ ეთქვა უარი, თავისუფლად შეკრებილიყო საჯარო სივრცეში 2021 წლის 5 ივლისს პრაიდის კვირეულის დასასრულს, რომელიც 1-5 ივლისს ჩატარდა.

1-5 ივლისის კვირის განმავლობაში *ლგბტქი+ ადამიანებმა* და *მათმა მოკავშირეებმა,* სამოქალაქო მოძრაობა „თბილისის პრაიდმა“, ასევე მოძრაობამ „სირცხვილია“ და სხვა სამოქალაქო აქტივისტებმა ორგანიზება გაუწიეს პრაიდის

[61] საქართველოს სახალხო დამცველის წლიური ანგარიში - ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში, 2013 წ. გვერდი 190:
https://ombudsman.ge/res/docs/2019062409162473497.pdf
[62] საქართველოს სახალხო დამცველის წლიური ანგარიში - ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში, 2012 წ., გვერდი 279- 280;
https://ombudsman.ge/res/docs/2019062409162473497.pdf
[63] *იქვე.*
[64] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება“, 2020 წ., გვ. 11-12;
https://www.ombudsman.ge/res/docs/2020061620213679437.pdf
[65] https://17maisitbilisi.wordpress.com/2014/05/18/protest/

კვირეულს და გამართეს სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებები. 5 ივლისს იგეგმებოდა დასკვნითი ღონისძიება - *„ღირსების მარში“*, რომელიც ქალაქ თბილისის ცენტრალურ ნაწილში უნდა გამართულიყო. 5 ივლისის დილის საათებიდან ძალადობრივმა ჰომოფობიურმა ჯგუფებმა ქალაქის ცენტრალურ *რუსთაველის გამზირზე* იწყეს მსვლელობა, რათა არ დაეშვათ ლგბტქი+ აქტივისტების „ღირსების მარში“. ჰომოფობიური ჯგუფები მიმართავდნენ მასობრივ ძალადობას, განსაკუთრებით ერჩოდნენ ჟურნალისტებს, რა დროსაც სხეულის დაზიანება მიიღო სხვადასხვა მედიასაშუალების 53-მა წარმომადგენელმა[66], მათ შორის იყვნენ ჟურნალისტები და ოპერატორები, რომლებიც აშუქებდნენ ანტი-ლგბტქი+ ძალადობრივ აქციას. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების ინფორმაციით, რომლებიც რუსთაველის გამზირზე იმყოფებოდნენ და მიმდინარე მოვლენებს ადგილზე აკვირდებოდნენ, ძალადობრივი შეკრების დროს ადგილზე წარმოდგენილ პოლიციელთა რაოდენობა იყო კრიტიკულად მწირი. ხშირ შემთხვევაში, პოლიციამ ვერ დაიცვა ჟურნალისტები, რომლებიც სასტიკად სცემეს მოძალადე დემონსტრანტებმა. აგრესიული ბრბო თავს დაესხა პრაიდის კვირეულის ორგანიზატორების, სამოქალაქო მოძრაობების - *„თბილისი პრაიდისა“* და „სირცხვილიას“ ოფისებს. ამ თავდასხმების დროსაც ადგილზე მყოფ პოლიციელთა რაოდენობა იყო კრიტიკულად მცირე, რამაც საშუალება მისცა მოთარეშე ჯგუფებს, სისრულეში მოეყვანათ პრაიდის კვირეულის ორგანიზატორთა ოფისებზე ძალადობრივი თავდასხმა და მათი რბევა.

ფართომასშტაბიანი ძალადობის ფონზე *პრაიდის კვირეულის ორგანიზატორებმა* გადაწყვიტეს, გაეუქმებინათ „ღირსების მარში“, რომლის ჩატარება დაგეგმილი იყო 5 ივლისს საღამოს 18:00 საათზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, რომლებიც უშუალოდ აკვირდებოდნენ 5 ივლისს განვითარებულ მოვლენებს, პოლიცია არ იღებდა ქმედით ზომებს ძალადობის აღსაკვეთად. სამართალდამცავი პირები ან არ ერეოდნენ ძალადობრივ ინციდენტებში, ან კიდევ ერთადერთი, რასაც აკეთებდნენ იყო ის, რომ მსხვერპლები პოლიციის მანქანებით გაჰყავდათ აქციის ადგილიდან. კიდევ ერთი გამოკვეთილი ტენდენცია გახლდათ ის, რომ აქციაზე, ძირითადად, იმყოფებოდნენ რიგითი პოლიციელები. მათი ხელმძღვანელები, ბრძანების გამცემი პოლიციელები არ ჩანდნენ. აქციაზე წარმოდგენილ სამართალდამცავ პირებს არ ჰქონდათ არანაირი კომუნიკაცია აქციის ორგანიზატორებთან ან მონაწილეებთან.

[66] https://police.ge/en/shinagan-saqmeta-saministros-informatsia-5-ivliss-politsiis-mier-gamovlenili-kanondarghvevis-faqtebis-da-matze-momkhdari-reagirebis-shesakheb/14763

ფოტო: პოლიციელები შორიდან აკვირდებიან დემონსტრაციას, რუსთაველის გამზირზე 5 ივლისს.

ძალადობის მაღალი რისკის გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელი იყო ჰომოფობიური ჯგუფებისგან, ასევე - წინა გამოცდილების გათვალისწინებით, აუცილებელი იყო ადგილზე საკმარისი საპოლიციო ძალების მობილიზება, მათ შორის - იმ პოლიციელთა, რომლებიც აღჭურვილი იქნებოდნენ დამცავი და სპეციალური საშუალებებით. შესაბამისი რაოდენობის, სპეციალური საშუალებებითა და დამცავი აღჭურვილობით შეიარაღებული პოლიციელების ადგილზე მობილიზების ფაქტს შესაძლოა, თავისთავად ჰქონოდა შემაკავებელი ეფექტი ფართომასშტაბიანი ძალადობის წინააღმდეგ. ასევე, აუცილებელი იყო რისკების სათანადო შეფასება და აქციის მართვის საერთო გეგმის შემუშავება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ემართათ სიტუაცია იმ შემთხვევაში, თუ ძალადობა იფეთქებდა. ამ გეგმის ნაწილი იქნებოდა მაღალჩინოსანი სამართალდამცავების ადგილზე ყოფნა, სიტუაციის კონტროლი და შეფასება, ფიზიკური ძალის თუ იძულების საშუალებების გამოყენების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და შესაბამისი ბრძანებების გაცემა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა 5 ივლისის აქციაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია დააფიქსირეს. კერძოდ, აქციის მონაწილეთა მხრიდან სიძულვილის ენის - ჰომოფობიური მოწოდებებისა და ტერმინოლოგიის ხშირი გამოყენება. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შეკრების ორგანიზებისა და ჩატარების დროს იკრძალება ისეთი მოწოდებების გაკეთება, რომელიც *„არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამგვარი ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს“*. თუ ეს წესი მასობრივად ირღვევა, შეკრება ან მანიფესტაცია დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ხელისუფლების შესაბამისი წარმომადგენლის მოთხოვნით. თუ შეკრება ან მანიფესტაცია არ შეწყდება, სამართალდამცავ ორგანოებს უფლება აქვთ, მიიღონ საერთაშორისო

სამართლითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები ასეთი შეკრებისა თუ მანიფესტაციის დასრულებისა და მონაწილეების დაშლის მიზნით. თუ ზემოხსენებული წესი შეკრების დროს ირღვევა არამასობრივად, ამ დროს ხელისუფლების წარმომადგენელი უფლებამოსილია, გაფრთხილება მისცეს შეკრების ორგანიზატორებს, რათა აღკვეთონ მსგავსი დარღვევები. ორგანიზატორი ვალდებულია, უახლოესი 15 წუთის განმავლობაში მოუწოდოს შეკრებილებს ამ დარღვევის აღმოსაფხვრელად. თუ ორგანიზატორი ამ ვალდებულებას არ შეასრულებს, მას დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

იმისათვის, რომ ჯეროვნად შეფასებულიყო ზემოხსენებული წესების დარღვევის საკითხი და მიღებულიყო ადეკვატური გადაწყვეტილება ძალადობრივი მოქმედებების აღსაკვეთად, აუცილებელი იყო ადგილზე სათანადო საპოლიციო რესურსისა და ხელმძღვანელი პირების მობილიზაცია.

5 ივლისის მოვლენები გვიჩვენებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ კვლავ ვერ მოახერა დაეცვა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი: გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების უზრუნველყოფა საზოგადოების ყველა წევრისათვის. სამართალდამცავმა ორგანოებმა მოუწოდეს მშვიდობიანი აქციის, *„ღირსების მარშის“* ორგანიზატორებს, არ მოეწყოთ მსვლელობა *„ღია, საჯარო სივრცეში“*[67] მომეტებული საფრთხის რისკის გამო, მაშინ, როცა ძალადობრივ ჯგუფებს ნება მისცეს *რუსთაველის* გამზირზე თავისუფლად ემოძრავათ და მასობრივი ძალადობა განეხორციელებინათ მედიის წარმომადგენლების მიმართ. ეს სრულიად ეწინააღმდეგება მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების არსს. იმის ნაცვლად, რომ შეესრულებინა საკუთარი პოზიტიური ვალდებულება და ხელი შეეწყო ლგბტქი+ თემის წევრების მშვიდობიანი შეკრებისთვის, სახელმწიფომ დაუშვა ძალადობრივი შეკრების ჩატარება.

ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ, კერძო პირებს უფლება აქვთ, გამართონ კონტრაქცია და როგორც კონტრ-დემონსტრანტებმა გამოხატონ თავიანთი წინააღმდეგობა კონკრეტული საზოგადოებრივი შეკრების მიმართ. როდესაც არსებობს მეორე აქციის მონაწილეთა მხრიდან პირველის მიმართ ფიზიკური ძალადობის საფრთხე, რომელთან გამკლავება შეუძლებელია, ამ დროს, როგორც წესი, ხდება სწორედ კონტრ-აქციის და არა პირველი აქციის შეზღუდვა მისი ჩატარების ლოკაციისა და დროის მიხედვით[68].

[67] https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/14760

[68] ეუთო/ოდირის და ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ, გვერდი 9:

საქმეზე - *„იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“* მიღებულ გადაწყვეტილებაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: *„სექსუალური უმცირესობების მიმართ ქართული საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულების გათვალისწინებით, ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ ან მათ უნდა სცოდნოდათ მოსალოდნელი დაძაბულობის რისკები, რაც დაკავშირებული იყო მომჩივანი ორგანიზაციის ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად დაგეგმილ ქუჩის მსვლელობასთან. შესაბამისად, მათ ჰქონდათ ვალდებულება, გამოეყენებინათ ყველა შესაძლო საშუალება, მაგალითად - დემონსტრაციამდე საჯარო განცხადებების მეშვეობით, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, მოეხდინათ ტოლერანტული, შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირება, ასევე - გაეფრთხილებინათ პოტენციური სამართალდამრღვევები შესაძლო სანქციების ხასიათზე. გარდა ამისა, ლგბტ პროცესიის შედეგიდან ცხადი იყო, რომ დემონსტრაციის ადგილას განთავსებული საპატრულო პოლიციელების რიცხვი არასაკმარისი იყო. ქუჩის შეტაკებების მოსალოდნელობის გათვალისწინებით, შიდასახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან წინდახედული იქნებოდა მხოლოდ ისეთი ქმედება, როდესაც უზრუნველყოფილი იქნებოდა უფრო მეტი პირადი შემადგენლობა, მაგალითად, პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმის მობილიზებით“*[69].

ტოლერანტული პოზიციის ადვოკატირებისა და შესაძლო სანქციების შესახებ პოტენციური სამართალდამრღვევების გაფრთხილების ნაცვლად, რაც ხელისუფლებას უნდა გაეკეთებინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებიდან გამომდინარე, პრემიერ-მინისტრმა 2021 წლის **5 ივლისს მიმდინარე ძალადობის ფონზე განაცხადა, რომ მოსახლეობის უმრავლესობისთვის, პრაიდის მარშის გამართვა იყო მიუღებელი და, შესაბამისად, მარში რუსთაველის გამზირზე არ უნდა ჩატარებულიყო**[70]. „ღირსების მარშთან“ დაკავშირებით პრემიერმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ: *„ასეთი ტიპის აქციები და ღონისძიებები ხელს უწყობს მათ დისკრიმინაციას. როდესაც ხდება ზედმეტად აპელირება და ხაზგასმა მათ განსხვავებულობაზე, მიმაჩნია, რომ სწორედ ეს არის ამ ადამიანების დისკრიმინაცია. ჩვენს მოსახლეობას, რა თქმა უნდა, არავისთან არა აქვს არავითარი პრობლემა, არც ამ ადამიანებთან. ყოველდღე ეს ადამიანები, უმცირესობის წარმომადგენლები, მუშაობენ და ცხოვრობენ აბსოლუტურად ნორმალურ ვითარებაში და რეჟიმში. მათ არავითარი საფრთხე არ ექმნებათ ჩვენს ქვეყანაში.*

https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2019)017rev-e

[69] გადაწყვეტილება *საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, 2015 წლის 12 მაისი,* პარაგრაფი 99: https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:[%22\%22CASE%20OF%20IDENTOBA%20AND%20OTHERS%20v.%20GEORGIA\%22%22],%22documentcollectionid2%22:[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22],%22itemid%22:[%22001-154400%22]}

[70] პრემიერ მინისტრის განცხადება: https://palitranews.ge/video/dghes-daanonsebuli-marshis-chatareba-mimachnia-mizansheutsonlad-is-sheitsavs-samokalako-dapirispirebis-safrtkhes-premieri

არცერთი ფაქტი არ არსებობს აღნიშნული დისკრიმინაციის. თუ ცალკეული შემთხვევა დაფიქსირებულა ოდესმე, ამის განზოგადოება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება"[71].

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების პრემიერ-მინისტრისეული გაგება სრულად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებს. საქმეზე *„ალექსეიევი რუსეთის წინააღმდეგ" მიღებულ გადაწყვეტილებაში* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: ***„სასამართლო იმეორებს თავის დასკვნას, რომ კონვენციის ფუძემდებლურ ღირებულებებთან შეუთავსებელი იქნებოდა ის პრაქტიკა, რომ უმცირესობათა ჯგუფების მიერ კონვენციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობა დამოკიდებული იყოს უმრავლესობის მიერ ამ უფლებების მიმღებლობაზე. ეს ასე რომ იყოს, უმცირესობათა უფლებები რელიგიის, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების მხრივ გახდებოდა მხოლოდ თეორიული ხასიათის და არა პრაქტიკული და ქმედითი, როგორც ამას ითხოვს კონვენცია"***[72].

მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლების გამოკითხვისას, ადამიანის უფლებათა ცენტრი დაინტერესდა მათი აზრით - რა იყო მთავარი გამოწვევა, რომელიც ხელს უშლის ამ უფლების ქმედით რეალიზებას. ლგბტქი+ თემის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ამ კითხვას ასეთი პასუხი გასცა: *„პირველ რიგში, ეს არის პოლიტიკური ნების არქონა. ყველაზე მეტად ამას გამოვყოფდი. 2012 წლიდან დაწყებული დღემდე არცერთ ეტაპზე მე პირადად ეჭვი არ შემპარვია, რომ სახელმწიფოს ჰქონდა იმის რესურსი, რომ მშვიდობიანი შეკრების უფლება უზრუნველეყო. თუმცა, ეს არ ხდებოდა შეგნებულად, ან პოლიტიკური ინტერესების გამო ან მოახლოებული არჩევნების გამო, ან საპატრიარქოს ან სხვა გავლენის მქონე ჯგუფების ინტერესების გამო. პოლიტიკური ნება ,ალბათ, არის მთავარი პრობლემა. ალბათ, ჰომოფობიური განწყობებიც ამ ყველაფერზე ნაწილობრივ ასახვას ჰპოვებს. თუმცა, ჩემს წარმოდგენაში მაინც ხელოვნურად მართული პროცესია, იმ ჰომოფობიური განწყობების მიუხედავად, რომელიც არის საზოგადოებაში. მმართველ ძალას არ ჰქონდა სურვილი, რომ დაეცვა ადამიანების კონსტიტუციური უფლება და ამ უფლების ფარგლებში შეწინააღმდეგებოდა იმ ძალებს, რომლებიც ძალადობის ორგანიზებას ახდენდნენ".*

---

[71] იქვე,.

[72] გადაწყვეტილება საქმეზე ალექსეიევი რუსეთის წინააღმდეგ, 2010 წლის 21 ოქტომბერი, პარაგრაფი 81: https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:[%22Alekseyev%20v.%20Russia%22],%22documentcollectionid2%22:[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22],%22itemid%22:[%22001-101257%22]}

დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში ძალადობა გაგრძელდა ასევე 6 ივლისს. საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფმა 6 ივლისის საღამოს, რუსთაველის გამზირზე პარლამენტის შენობის წინ სოლიდარობის აქცია გამართა იმ ადამიანების მხარდასაჭერად, რომლებიც წინა დღით დაზარალდნენ. აგრესიულად განწყობილი კონტრ-დემონსტრანტები მალევე შეიკრიბნენ მიმდებარე შენობებთან და კვლავ მიმართეს მასობრივ ძალადობრივ მეთოდებს, რათა დაეშალათ მშვიდობიანი სოლიდარობის აქცია. ისინი ისროდნენ ქვებს, ქვებით სავსე ბოთლებსა და ასაფეთქებელ საშუალებებს მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ. რამდენიმე შემთხვევაში, გაარღვიეს პოლიციის კორდონი და შეაღწიეს მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა მასაში. სამართალდამცველებმა ასამდე მოძალადე დააკავეს. სპეციალური დანიშნულების რაზმი დაგვიანებით გამოჩნდა პროტესტის მიმდებარე ტერიტორიაზე. კონტრ-დემონსტრანტების მხრიდან მომდინარე ძალადობის მაღალი რისკების შემცველი საფრთხის გამო, კვლავ მშვიდობიან მომიტინგეებს მოუწიათ აქციის შეჩერება და ტერიტორიის დატოვება პოლიციის მიერ სპეციალურად შექმნილი დერეფნის მეშვეობით. საბოლოოდ, ძალადობრივმა ბრბომ დაიკავა პარლამენტის შენობის წინ მშვიდობიან მომიტინგეთა ადგილი და დემონსტრაციულად ჩამოხია და დაწვა ევროკავშირის დროშა.

6 ივლისის აქციაზე მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა:

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების ინფორმაციით, სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა 21:30 საათის შემდეგ, როდესაც „თბილისი პრაიდის“ წარმომადგენლებმა ლგბტქი+ დროშა გაშალეს და პარლამენტის შენობის წინ ფერადი ფეირვერკები გაუშვეს. კონტრაქციის წარმომადგენლები ამ ფაქტის შემდეგ განსაკუთრებით აგრესიულები გახდნენ.

აგრესიულმა კონტრ-დემონსტრანტებმა ალყა შემოარტყეს მშვიდობიან შეკრებას ყველა მხრიდან. შეკრების ადგილის დატოვება მხოლოდ პარლამენტის შენობის მარცხენა მხარეს საგანგებოდ შექმნილი პოლიციის დერეფნის მეშვეობით იყო შესაძლებელი. თუმცა, ამ დერეფნის გავლის შემდეგ, აქციიდან გასულ პირთა უსაფრთხოება მაინც არ იყო საკმარისად დაცული. აქციის დატოვებისას, ადამიანებზე თავდასხმა განსაკუთრებით გახშირდა, რის გამოც ბევრი მსურველი, დიდი ხნის განმავლობაში არიდებდა თავს აქციის დატოვებას. თუმცა, ადგილზე ყოფნაც შეუძლებელი გახდა. ახლა უკვე აქციის ორივე მხრიდან ძალადობრივი ჯგუფები ისროდნენ სხვადასხვა ბლაგვ ნივთს, მათ შორის - მოზრდილი ზომის ქვებს, კენჭებით სავსე ბოთლებს, სხვადახვა სახის გაურკვეველ ასაფეთქებელ მოწყობილობას.

არსებული საფრთხისა და ძალადობრივი ჯგუფების ქმედებების გათვალიწინებით, ადგილზე წარმოდგენილ სამართალდამცავთა რაოდენობა იყო არასაკმარისი. პოლიციის კორდონი რამდენჯერმე გაირღვა. შედეგად, კონტრაქციის მონაწილეებმა რამდენჯერმე შეძლეს ხალხის მასაში შეღწევა და ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს აქციის მონაწილეებს. ამ ფაქტებზე სამართალდამცავები ცდილობდნენ რეაგირების მოხდენას და რამდენჯერმე შეძლეს კორდონის შიგნით შემოღწეული ადამიანების გაყვანა ან/და დაკავება. თუმცა, ადგილზე არსებული საპოლიციო რესურსი არ იყო საკმარისი კონტრაქციის მონაწილეთა მოჭარბებული აგრესიის შესაკავებლად.

სპეცრაზმი რუსთაველის გამზირზე საკმაოდ დაგვიანებით, დაახლოებით 23:00 საათზე გამოჩნდა. ამ დროისათვის აქცია პრაქტიკულად დასრულებული იყო და სპეცრაზმი პარლამენტის წინ დარჩენილ მოქალაქეებს ეხმარებოდა ტერიტორიიდან უვნებლად გასვლაში.

ლექსო ლაშქარავა - 5 ივლისს სასტიკად ნაცემი *TV პირველის* ოპერატორი 11 ივლისს ოჯახის წევრებმა სახლში გარდაცვლილი იპოვეს. ლაშქარავა *TV პირველის ჟურნალისტ* მირანდა ბაღათურიასთან ერთად იმყოფებოდა იმ შენობაში, სადაც განთავსებულია მოძრაობა *„სირცხვილიას“* ოფისი, როდესაც იქ გამძვინვარებული ბრბო შეიჭრა. როგორც მირანდა ბაღათურია იხსენებს სატელევიზიო ინტერვიუში, ოცამდე თავდამსხმელი ისე უმოწყალოდ სცემდა ლაშქარავას მთელი 5 წუთის განმავლობაში, რომ შეეშინდა, არ მოეკლათ[73]. ლაშქარავას სახის ძვლები ჩაუმტვრიეს, მან ტვინის შერყევა მიიღო და ქირურგიული ოპერაცია დასჭირდა. ლაშქარავას გარდაცვალების ზუსტი მიზეზი დღემდე დადგენილი არ არის.

5 ივლისს ჟურნალისტებზე განხორციელებული თავდასხმა მისი მასშტაბურობისა და სიმძიმის გათვალისწინებით იყო უპრეცენდენტო მოვლენა. სამწუხაროდ, ეს არ არის ჟურნალისტების მიმართ მასობრივი ძალადობის განცალკევებული ფაქტი შეკრებების გაშუქებისას შესრულებული პროფესიული მოვალეობის გამო. 2019 წლის 20-21 ივნისს რუსთაველის გამზირზე გამართულ ანტი-საოკუპაციო საპროტესტო აქციაზე სხვადასხვა მედიასაშუალების 38-მა ჟურნალისტმა მიიღო სხეულის დაზიანება სამართალდამცავი პირების მიერ რეზინის ტყვიების არაპროპორციული და განურჩეველი გამოყენების შედეგად[74]. 20-21 ივნისს სამართალდამცავების მიერ ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებისთვის, რომელიც რიგ შემთხვევაში არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ნიშნებს ატარებდა, არცერთი დამნაშავე დღემდე არ დასჯილა სასამართლოს განაჩენით.

[73] სატელევიზიო არხი *ფორმულა*, ინტერვიუ მირანდა ბაღათურიასთან: https://www.facebook.com/TVFormula/videos/822690448619785/

[74] http://www.hrc.ge/232/eng/?fbclid=IwAR2uZmEUs8tZ0fYfE7pxzlKbkHeTKQRSXqCkYFQZwQcvttX0ff78pQESn5

გადამეტებული ძალის გამოყენება და არაპროპორციული შეზღუდვები

2020 წლის 8 ნოემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინ გამართული საპროტესტო აქცია

2020 წლის 8 ნოემბერს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები შეიკრიბნენ პარლამენტის შენობის წინ რუსთაველის გამზირზე, სადაც პროტესტი გამოხატეს დარღვევებით ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით და მოითხოვეს ხელახალი არჩევნების დანიშვნა. პარლამენტის შენობის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე მომიტინგეებმა გამოაცხადეს, რომ გადაინაცვლებდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობასთან და პროტესტს იქ განაგრძობდნენ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აკვირდებოდნენ საქართველოს პარლამენტის წინ მშვიდობიანი დემონსტრაციის მთელ პროცესს, შემდეგ კი აქციას ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან.

21:30 საათზე, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების ინფორმაციით, აქციის დაახლოებით 100 მონაწილე შეკრებილი იყო ცესკოსთან, შენობის წინ დაახლოებით 25 მეტრში აღმართულ რკინის ფირფიტებიან მესერთან. პარლამენტთან გამართული აქციის მონაწილეთა ნაწილი ტრანსპორტით მივიდა ადგილზე, ნაწილი კი - შინიდან. პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიასთან გამართული აქციის მონაწილეთა ძირითად ნაკადი ამ დროს ცესკოს შენობისაკენ ფეხით მიემართებოდა. ცესკოს წინ ასევე იმყოფებოდნენ სხვადასხვა ტელევიზიების ჟურნალისტები და ოპერატორები, ასევე - სხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლები.

აქციის მონაწილეთა ნაწილმა დაიწყო ცესკოს ეზოს წინ აღმართულ ლითონის ფირფიტებიან მესერზე ქვებით და მუშტებით ბრახუნი. მოულოდნელად ამ მესრის ჰორიზონტალურ გაგრძელებაზე, სადაც იწყებოდა ლითონბადის ღობე, ატყდა ჩოჩქოლი. აქციის მონაწილეები ცდილობდნენ ამ ლითონბადის ღობის მორღვევას. სწორედ ამ დროს, სულ რაღაც 2-3 წუთში ცესკოს შენობის მარჯვენა მხარეს გამოჩნდა წყალსატყორცნი მანქანა[75]**.** ამ მანქანამ ცესკოს შენობის უკანა ეზოდან წინ გამოსვლიდან დაახლოებით 2-3 წუთის შემდეგ **ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ცივი წყლის ძლიერი ჭავლი მიუშვა აქციის მონაწილეებზე.** ეს მოხდა 21:42 საათზე, რაც დაფიქსირებული აქვს ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის ამ ფოტოს ელექტრონულ ისტორიას.

[75] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის მიერ აქციის წყლის ჭავლით დაშლამდე 2-3 წუთით გადაღებული ვიდეოკადრები: https://www.facebook.com/1807175237/videos/10214604585587477/

ფოტო: ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის წინ პოლიცია 21:42 საათზე წყლის ჭავლს უშვებს მომიტინგეებზე

წყლის ჭავლის მიშვების შემდეგ, სპეციალური დანიშნულების რაზმი გამოჩნდა ცესკოს უკანა ეზოდან. რაზმი აღჭურვილი იყო ჩაფხუტებითა და ფარებით. ამ მომენტში, მომიტინგეებმა, რომლებიც დაშავდნენ და დასველდნენ წყლის ჭავლისგან, დაიწყეს გინება სპეციალური დანიშნულების რაზმის მისამართით. ზოგიერთმა მომიტინგემ ესროლა ქვა წყლის ჭავლის მანქანას. ადგილზე დაიწყო არეულობა და ქაოსი. აქციის რამდენიმე მონაწილის მხრიდან განხორციელებულ ქმედებას პროტესტის სხვა მონაწილეთა უკმაყოფილება მოჰყვა და ეს კამათში გადაიზარდა. ამ მონაკვეთში, ერთ-ერთმა პირმა ცესკოს ეზოში განლაგებულ პოლიციელებს ცეცხლწაკიდებული საგანი (სავარაუდოდ პიროტექნიკა) ესროლა.

დაახლოებით 22:10 საათზე მომიტინგეთა ნაწილმა დისკომფორტი იგრძნო და სუნთქვის გაძნელება შენიშნა. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა ამ მომენტში სპეციფიური სუნი იგრძნეს. როგორც მოგვიანებით ოფიციალურად გამოცხადდა, პოლიციამ წიწაკის სპრეი გამოიყენა. გაფრთხილება არ გაკეთებულა არც წიწაკის სპრეის გამოყენებამდე.

ამის შემდეგ, პოლიციამ დაიწყო აქციის მონაწილეთა გაფრთხილება. დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ისმოდა აუდიო ჩანაწერი, რომელიც მოუწოდებდა მომიტინგეებს დაშლისაკენ. *„წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლწესრიგის აღსადგენად და სამოქალაქო სიმშვიდის დასამყარებლად გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული ღონიძიებები“ - იყო გაფრთხილება სამართალდამცავთა მხრიდან.* პოლიცია არ აკონკრეტებდა, თუ რა ზომები იქნებოდა მიღებული აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ. თუმცა, საპროტესტო აქციის ტერიტორიაზე ორი წყლის ჭავლის მანქანა იყო მობილიზებული. ამიტომ, მომიტინგეები თვლიდნენ, რომ პოლიცია მათ წინააღმდეგ წყლის ჭავლს გამოიყენებდა. **პოლიცია გამაფრთხილებელ**

გზავნილში აქციის ორგანიზატორებს ასევე მოუწოდებდა, *„წესრიგის დამყარების ადგილიდან“* გაეყვანათ მოხუცები, ბავშვები და ქალები.

დაახლოებით 00:10 საათიდან პოლიციამ კვლავ დაიწყო წყლის ჭავლის გამოყენება და აქციის მონაწილეებზე თითქმის უწყვეტად, რამდენიმე ნაკადით მიუშვა წყლის ჭავლი დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში. ამ დროისთვის ადგილზე უკვე მობილიზებული იყო 5-6 წყალსატყორცნი მანქანა, რომლებიც უშვებდნენ წყლის ჭავლს აქციის მონაწილეებისკენ[76]. ამ გზით შეძლო პოლიციამ აქციის მონაწილეების დროებით გაფანტვა. საპასუხოდ აქციის მონაწილეთა ნაწილი პოლიციელებს აგინებდა და ზოგიერთი ესროდა სხვადასხვა საგნებს, რაც ხელში მოხვდებოდათ. ზოგიერთი მედია საშუალების ინფორმაციით, აქციის მონაწილეები ისროდნენ ბოთლებს[77]. პოლიციის მიერ გავრცელებული ვიდეოკადრებიდან ასევე ჩანს, რომ აქციის მონაწილეთა მხრიდან წყალსატყორცნი მანქანისკენ ისვრიან ქვებს და ასევე - ცეცხლმოკიდებულ შეშებს. ქვებისგან ჩაიმსხვრა წყალსატყორცნი სპეცმანქანების საქარე მინები[78].

მომიტინგეთა ნაწილი ცუდად გახდა წყლის ჭავლის სიძლიერისა და სიცივისგან მიღებული შოკისგან. ტვ „ფორმულას“ და ტვ „პირველის“ ტელეოპერატორები სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს[79].

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით, 8 ნოემბერს წყლის ჭავლისა და წიწაკის სპრეის თავდაპირველი გამოყენების შემთხვევები იყო კანონშეუსაბამო, რადგანაც არ არსებობდა მომიტიგენთა წინააღმდეგ მათი გამოყენების კანონით განსაზღვრული საფუძველი. ამასთან, სამართალდამცავებმა არ განახორციელეს მომიტინგეთა წინასწარი გაფრთხილება სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ. არსებულ გარემოებებში მომიტინგეების წინააღმდეგ წყლის ჭავლისა და წიწაკის სპრეის გამოყენება იყო არაპროპორციული ძალა, რაც არღვევს საქართველოს კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს.

---

[76] იხ. „ფორმულას“ პირდაპირი ტრანსლაციის ბმული - დემონსტრანტები წყლის ჭავლით ისევ დაშალეს: https://www.facebook.com/TVFormula/videos/870606000431814

[77] იხ. ჟურნალისტის კომენტარები on.ge-ს პირდაპირი ტრანსლაციისას: https://www.facebook.com/watch/live/?v=377744056879426&ref=watch_permalink

[78] იხ. პოლიციის მიერ გავრელებული ვიდეოკადრები, სადაც ჩანს, როგორ ისვრიან ქვებს წყალსატყორცნი მანქანისკენ აქციის მონაწილეები იმ დროს, როდესაც წყლის ჭავლის გამოყენება ხდება: https://www.interpressnews.ge/ka/article/628339-shss-ceskostan-ganvitarebul-movlenebtan-dakavshirebit-videokadrebs-avrcelebs;
ასევე - შსს-ს ამ ოფიციალურ ბმულზე დართული მეორე ვიდეოკოლაჟი, სადაც ასახულია წყლის ჭავლის გამოყენების შემდეგ გაბრაზებული მოქალაქეების აგრესიული ქმედებები: https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-ministris-pirveli-moadgilis-kakha-sabanadzis-brifingi/14119

[79] იხ. ფორმულას პირდაპირი ტრანსლაცია, წამყვანის გიორგი თარგამაძის ინფორმაცია: https://www.facebook.com/TVFormula/videos/870606000431814

პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანის და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალების გამოყენება დასაშვებია, *„მართლწესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ობიექტზე ჯგუფური თავდასხმის მოსაგერიებლად, სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაჩერებლად, რომლის მძღოლმა არ შეასრულა პოლიციელის მოთხოვნა გაჩერების შესახებ, შეიარაღებული დამნაშავის დასაკავებლად“.* რაც შეეხება წიწაკის სპრეის, მისი გამოყენება დასაშვებია *„პირზე, პოლიციელზე ან/და დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად; მართლწესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად; დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დაკავებისას ან მისი იძულების მიზნით, დატოვოს დაკავებული ტერიტორია, სატრანსპორტო საშუალება ან შენობა-ნაგებობა, სადაც თავს აფარებს“.*

ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვებით, ცესკოს წინ ადგილი არ ჰქონია არცერთ ზემოხსენებულ ქმედებას, რაც გაამართლებდა მომიტინგეთა წინააღმდეგ წყლის ჭავლისა და წიწაკის გაზის თავდაპირველ გამოყენებას. ზოგიერთი მომიტინგე ცესკოს წინ აღმართულ ლითონის ჯებირზე მუშტებსა და სხვა საგნებს აბრახუნებდა. ზოგიერთი კი ლითონბადეს ეჯაჯგურებოდა. თუმცა, ეს ქმედებები არ შეიძლება შეფასდეს, როგორც აქტი, რომელიც იწვევს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ წყლალსატყორცნისა და წიწაკის გაზის გამოყენებას.

„პოლიციის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის თანახმად, პოლიცია აფრთხილებს პირს სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ და აძლევს მას გონივრულ ვადას, შეასრულოს პოლიციის კანონიერი მოთხოვნა - *„გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს პირის ან/და პოლიციელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა ან სხვა მძიმე შედეგი, ან შექმნილ სიტუაციაში ასეთი გაფრთხილება გაუმართლებელია ან შეუძლებელია“.* თუ რატომ არ მოხდა აქციის მონაწილეთა გაფრთხილება, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ეს დაასაბუთა კანონის გამონაკლის დებულებებზე მითითებით და განმარტა, რომ როდესაც გადაუდებელი აუცილებლობა არსებობს და ძალადობამ შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას პოლიციელთა ან სხვა პირთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ან შეიძლება გამოიწვიოს სხვა მძიმე შედეგები, პოლიციას უფლება აქვს, გამოიყენოს სპეციალური საშუალებები, მათ შორის - წყლის ჭავლის მანქანები, გაფრთხილების გარეშე[80]. თუმცა, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით, 8 ნოემბრის აქციაზე არ არსებობდა მსგავსი გადაუდებელი ვითარება.

[80] https://imedinews.ge/ge/samartali/171602/kakha-sabanadze-rodesats-politsielis-an-sazogadoebis-tsevris-sitsotskhlis-an-janmrtelobis-khelkopis-mkisieri-saprtkhe-arsebobs-politsiels-aqvs-upleba-gaprtkhilebis-gareshe-gamoikenos-spetsialuri-sashualebebi

ცესკოს შენობის წინ მომიტინგეების წინააღმდეგ წყლის ჭავლისა და წიწაკის სპრეის გამოყენება ეწინააღმდეგებოდა ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს. გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელო დოკუმენტის თანახმად, სამართლის აღსრულებისას ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენების შესახებ, წყალსატყორცნი შეიძლება, გამოყენებულ იქნას მხოლოდ შემდეგ გარემოებებში: სიცოცხლის დაკარგვის, სხეულის მძიმე დაზიანების ან საკუთრების ფართომასშტაბიანი განადგურების საფრთხის არსებობისას. ცესკოს შენობის წინ წყალსატყორცნის თავდაპირველი გამოყენებისას არცერთი ეს საფუძველი არ არსებობდა.

საპროტესტო აქციები ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის წინააღმდეგ

ბოლო წლის განმავლობაში, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მიმდინარეობდა საპროტესტო აქციები დასავლეთ საქართველოში ნამოხვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის წინააღმდეგ, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ენერგეტიკული პროექტია საქართველოში. 2021 წლის აპრილში, სოფელ ნამოხვანში, 169-დღიანი მშვიდობიანი პროტესტის შემდეგ, პოლიციამ პროტესტის მონაწილეთა კარვები დაუსაბუთებელი მოტივით დაშალა. ამის შემდეგ, სამართალდამცავებმა სოფლის შესასვლელთან ლითონის კონსტრუქციების სახით ბარიერები აღმართეს და პროტესტის მონაწილეებს საერთოდ აუკრძალეს სოფელში შესვლა და პროტესტის იქ გამოხატვა. სახელმწიფო ორგანოებს არ წარმოუდგენიათ ოფიციალური ახსნა-განმარტება, თუ რის საფუძველზე შეზღუდეს საპროტესტო აქციების გამართვის უფლება მთელ სოფელში. სახელმწიფოს ამ მოქმედებებმა უხეშად დაარღვია გამოხატვის, მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის და გადაადგილების თავისუფლება.

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო პრინციპები ამბობს, რომ *„ხალხს პრინციპული თვალსაზრისით აქვს უფლება, აირჩიოს შეკრების ადგილმდებარეობა და მარშრუტი საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილებში“. „საჯარო სივრცედ“* ითვლება ადგილი, რომელიც ღიაა საზოგადოებისათვის და ზოგადად ხელმისაწვდომია ყველასთვის, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა იგი კერძო საკუთრებას. მსგავსი ადგილებია, მაგალითად, საჯარო პარკები, მოედნები, ქუჩები, გზები, ბულვარები, ტროტუარები, საცალფეხო ბილიკები. მიუხედავად იმისა, რომ სოფელ ნამოხვანში გარკვეული ტერიტორია შესაძლოა, იყოს კერძო კომპანია „ენკას“ საკუთრება, რომელიც ნამოხვანჰესის პროექტს ახორციელებს, ცხადია, სოფელში არსებობს საჯარო სივრცე, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს

ყველასთვის. შესაბამისად, მთელი სოფლის დაკეტვა პროტესტისათვის და პროტესტის მონაწილეთათვის სოფელში შესვლის სრული აკრძალვა მოკლებული იყო ლეგიტიმურ საფუძველს და ამით უხეშად დაირღვა მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება.

ეს არ გახლავთ მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დარღვევის ერთადერთი შემთხვევა, რომელიც უკავშირდება ნამახვანის საპროტესტო აქციებს. 2020 წლის 14 ნოემბერს, სოფელ ჟონეთში, პოლიციამ არაპროპორციული ძალა გამოიყენა მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეთა მიმართ, რომლებმაც რამდენიმე საათის განმავლობაში საავტომობილო გზა გადაკეტეს. პოლიციამ ფიზიკური მიწოლით აიძულა მომიტინგეები, რომლებიც ერთმანეთზე ჯაჭვით იყვნენ გადამბული, გზიდან გადასულიყვნენ, რის შედეგადაც პროტესტის მონაწილეებმა სხეულის დაზიანება მიიღეს. შეკრების მონაწილეთა მიმართ ადგილი არ ჰქონია წინასწარ გაფრთხილებას ან მოლაპარაკების მცდელობას.

მშვიდობიანი შეკრების დაშლა უნდა მოხდეს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის საფუძველზე. საკითხი, თუ რომელი ინტერესი გადაწონის კონკრეტულ შემთხვევაში, ამ შემთხვევის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს და არა ბლანკეტური აკრძალვების საფუძველზე.

მოცემულ შემთხვევაში, აქცია გაიმართა წყალტუბოს რაიონის სოფელ ჟონეთში, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, მეზობელი სოფლების ადგილობრივ მაცხოვრებლებთან ერთად. ადამიანთა ამ ჯგუფისთვის მწირია საჯარო სივრცეები, სადაც შეძლებდნენ მწვავე სოციალური მნიშვნელობის საკითხზე საკუთარი პროტესტის გამოხატვას ისე, რომ ეს პროტესტი რეალურად მიწვდეს საზოგადოებას და აღქმადი იყოს მის მიერ. სოფელ ჟონეთსა და მეზობელ სოფლებში, სოფელში გამავალი გზის გარდა, ფაქტობრივად, არ არსებობს საჯარო სივრცე, სადაც პირთა საპროტესტო შეკრება ფართო საზოგადოების ყურადღებას მიიპყრობს. შეკრების არსი საპროტესო მესიჯის სწორედ ფართო საზოგადოებისადმი მიტანასა და მისი ყურადღების მიპყრობაში მდგომარეობს და არა მხოლოდ ლოკალურ დონეზე, საზოგადოების ვიწრო ჯგუფთან გამოხატვაში. ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ მათ გზა მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში გადაკეტეს[81]. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში აქციის დაშლა წარმოადგენდა მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების არაპროპორციულ შეზღუდვას.

[81] ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება ჟონეთში მშვიდობიანი საპროტესტო აქციის არაპროპორციული საპოლიციო ძალით დაშლის თაობაზე: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20278&lang=eng

2019 წლის 20-21 ივნისის ანტისაოკუპაციო საპროტესტო აქცია

20 ივნისს საქართველოს პარლამენტში დაგეგმილი იყო მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომა. სხდომის გახსნისას რუსეთის დუმის დეპუტატმა, სერგეი გავრილოვმა დაიკავა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი და სხდომა რუსულ ენაზე წარმართა. პარლამენტის შენობის წინ ამ ქმედების გასაპროტესტებლად ათასობით ადამიანი შეიკრიბა.

მიტინგი რამდენიმე საათის განმავლობაში მშვიდობიანად მიმდინარეობდა. თუმცა, დაახლოებით 22:00 საათიდან მომიტინგეთა ნაწილი შეეცადა, შეჭრილიყო პარლამენტის შენობაში, რასაც შედეგად მოჰყვა დემონსტრანტებსა და სამართალდამცავებს შორის ერთსაათიანი ფიზიკური დაპირისპირება[82]. ვითარების ესკალაციასთან ერთად სამართალდამცავებმა შეკრების დასაშლელად სპეციალური საშუალებები, ცრემლსადენი გაზი, წყლის ჭავლი და რეზინის ტყვიები გამოიყენეს. სპეციალური საშუალებები გამოყენებულ იქნა მომიტინგეების წინასწარი გაფრთხილების გარეშე. სამართალდამცავი პირები რეზინის ტყვიებს ისროდნენ იმ მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ძალადობრივ ქმედებებში და არ წარმოადგენდნენ არანაირ საფრთხეს სამართალდამცავი თუ სხვა პირებისათვის. გასროლა ხდებოდა ახლო მანძილიდან და სასიცოცხლო ორგანოებზე დამიზნებით. სამართალდამცავი პირების მოქმედებებმა უხეშად დაარღვია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და რიგ შემთხვევებში ატარებდა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ნიშნებს.

სამართალდამცავი პირების მიერ რეზინის ტყვიების გაუმართლებელი გამოყენების შედეგად 20-21 ივნისის საპროტესტო აქციის დროს უპრეცედენტო რაოდენობის ჟურნალისტმა მიიღო სხეულის დაზიანება. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის თანახმად, აქციის დროს პროფესიული მოვალეობების შესრულებისას მედიის 38-მა წარმომადგენელმა მიიღო სხვადასხვა სახის ფიზიკური დაზიანება.

2019 წლის 20-21 ივნისის აქციის დაშლისას ძალის გადამეტებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით საგამოძიებო ორგანოებს დღემდე არ გამოურკვევიათ სამართალდამცავი სტრუქტურის მაღალჩინოსანი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი. 2019 წლის 20-21 ივნისს, პარლამენტის შენობის წინ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და აღდგენის ღონისძიების ხელმძღვანელ პირებს წარმოადგენდნენ შინაგან საქმეთა იმდროინდელი მინისტრი, გიორგი

[82] ადამიანის უფლებათა ცენტრიის ანგარიში „20-21 ივნისის მოვლენები: სამართლებრივი ანალიზი": http://hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/hrc2019/20-21%20ivnisi-eng..p

გახარია, მისი მოადგილეები და შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმდროინდელი დირექტორი, რომლებიც ადგილზე იმყოფებოდნენ და კურირებდნენ აქციის დაშლის ოპერაციას. მათ ეკისრებოდათ სამსახურებრივი მოვალეობა, სათანადო რეაგირება მოეხდინათ რეზინის ტყვიების კანონსაწინააღმდეგო გამოყენებისა და მშვიდობიანი მოქალაქეებისათვის მძიმე ფიზიკური დაზიანებების მიყენების აღსაკვეთად. რამდენად შეასრულეს მაღალი თანამდებობის პირებმა თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობა, რა მოქმედებები განახორციელეს ამ მიზნით და რა საგამოძიებო მოქმედებები განახორციელეს საგამოძიებო უწყებებმა ამ საკითხის გამოსარკვევად - ამ შეკითხვებზე საპასუხო ინფორმაცია დღესდღეობით დაზარალებულის სტატუსის მქონე ადამიანებისთვისაც კი ხელმიუწვდომელია. საგამოძიებო ორგანოების მიერ სათანადო ნაბიჯები არ გადადგმულა ასევე ქვედა რგოლის იმ სამართალდამცავი პირების გამოსავლენად, რომლებიც უკანონოდ იყენებდნენ რეზინის ტყვიებს აქციაზე მყოფი მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ[83].

შენობათა შესასვლელების ბლოკირება

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აკრძალულია შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს შენობათა შესასვლელების ბლოკირება. ეს აკრძალვა არ ითვალისწინებს გამონაკლისს. მისი პრაქტიკული გამოყენება საქართველოში გასული წლების გამოცდილებიდან შემდეგნაირია: მშვიდობიანი მომიტინგეები თუკი ბლოკავენ სამთავრობო შენობების შესასვლელებს და არ ემორჩილებიან სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნას - გაათავისუფლონ ტერიტორია, სამართალდამცავი ორგანოები მათ წინააღმდეგ იყენებენ იძულების სპეციალურ საშუალებებს. 2019 წლის განმავლობაში სამართალდამცავმა პირებმა წყლის ჭავლი რამდენჯერმე გამოიყენეს იმ მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ, როელთაც ბლოკირებული ჰქონდათ სამთავრობო შენობების შესასვლელები. 2019 წლის 18 ნოემბერს მშვიდობიანი აქციის ფარგლებში მომიტინგეებმა დაბლოკეს პარლამენტის შენობის შესასვლელი პროტესტის ნიშნად პარლამენტის იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, არ მოხდებოდა სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა. მშვიდობიანმა აქციამ არ მისცა საშუალება პარლამენტის რამდენიმე წევრს, პარლამენტის შენობაში შესულიყო. სპეციალური დანიშნულების რაზმებმა გამოიყენეს წყლის ჭავლი და შენობის ბლოკირებიდან რამდენიმე საათში დაშალეს მშვიდობიანი აქცია[84].

[83] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: http://www.hrc.ge/232/geo/

[84] 18 ნოემბრის აქციის დაშლის ქრონოლოგია: http://ajaratv.ge/article/51732?fbclid=IwAR246g_w8_hJP5_yLM6CsTCtPuhOlNrk9C0TSb_yqmdpvzO1zvuidT3znv0

შედეგად დაშავდა 6 ადამიანი[85]. წყლის ჭავლი გამოყენებული იყო ასევე 26 ნოემბერს, როდესაც მშვიდობიანმა მომიტინგეებმა ისევ განახორციელეს პარლამენტის შენობის ბლოკირება[86]. წყლის ჭავლის გამოყენება მოხდა „ნაკლებად ლეტალური იარაღის სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოყენების შესახებ“ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელო დოკუმენტის პრინციპების დარღვევით, რადგან სახეზე არ იყო სიცოცხლის დაკარგვის, სხეულის მძიმე დაზიანების ან საკუთრების ფართომასშტაბიანი განადგურების საფრთხე, რაც გაამართლებდა წყლის ჭავლის გამოყენებას[87].

ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, ბლანკეტური სამართლებრივი შეზღუდვა, როგორიც არის, მაგალითად, კონკრეტულ ლოკაციაზე ნებისმიერი შეკრების აკრძალვა, წარმოადგენს გადამეტებულ შეზღუდვას და არღვევს შეკრების თავისუფლებას. ბლანკეტური აკრძალვა შესაძლოა, ვერ უძლებდეს პროპორციულობის ტესტს, რადგან ამგვარი კარძალვა *„არ ანსხვავებს შეკრების თავისუფლების უფლების რეალიზაციის სხვადასხვა გზას და გამორიცხავს თითოეული შემთხვევის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებას“*[88].

კარვების გამოყენების არამართლზომიერი შეზღუდვა

2021 წლის განმავლობაში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პოლიციამ არამართლზომიერად შეუზღუდა მომიტინგეებს უფლება, კარვები დაედგათ შეკრების ადგილზე.

21 თებერვალს სამოქალაქო აქტივისტებს სურდათ, დაედგათ კარავი, სახელწოდებით „კარავი 100“ საქართველოს პარლამენტის წინ, საქართველოს კონსტიტუციის ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით[89]. სამართალდამცავმა პირებმა აქციის მონაწილეებს კარვის დადგმის უფლება არ მისცეს. ამ ინციდენტთან დაკავშირებით დააპატიმრეს 8 ადამიანი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის - „სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა“. შინაგან

[85] 18 ნოემბრის აქციის მონაწილის მონათხრობი: https://cutt.ly/PtJj9rU

[86] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება“, 2020 წ., გვერდები 17-18: https://www.ombudsman.ge/res/docs/2020061620213679437.pdf

[87] გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელო დოკუმენტი სამართლის აღსრულებისას ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენების შესახებ, პუნქტი 7.7.2: https://www.ohchr.org/Documents/HRBodies/CCPR/LLW_Guidance.pdf

[88] ეუთო/ოდირის - ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ, პუნქტი 133; https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2019)017-e

[89] იხ. ინფორმაცია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31113907.html

საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელიც განმარტავდა, რომ შეკრების მონაწილეებს შეეზღუდათ პარლამენტის შენობის წინ კარვების დადგმის შესაძლებლობა *„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მართლწესრიგის დაცვის, სამართალდარღვევის თავიდან აცილებისა და პრევენციის მიზნით“*[90]. თუმცა, შსს-ს არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი იმის შესახებ, თუ რა საფრთხეს უქმნიდა კარვები საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და მართლწესრიგს ან როგორ იყო ისინი დაკავშირებული რაიმე სამართალდარღვევასთან[91].

2021 წლის 11 აპრილს სოფელ ნამოხვანში პოლიციამ იმ აქციის მონაწილეთა კარვები მოშალა, რომლებიც აპროტესტებდნენ ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას მდინარე რიონის ხეობაში. კარვების აღება სოფლის ტერიტორიაზე მდინარე რიონში გაუჩინარებული პირის სამძებრო სამუშაოებს მოჰყვა. თავდაპირველად, სამართალდამცავებმა მომიტინგეებს განუცხადეს, რომ კარვები ხელს უშლიდა სამძებრო სამუშაოებს და ამიტომ უნდა აეღოთ. მოგვიანებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმად, მდინარე რიონის წყლის დონე აღემატებოდა სასიგნალო ნიშნულს. ამინდის პროგნოზის გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო წყლის დონის განსაკუთრებული მატება, მდინარის კალაპოტიდან გადმოსვლა და მიმდებარე ტერიტორიების დატბორვა. შსს-ს განცხადებით, მათ მიიღეს გადაწყვეტილება საფრთხის შემცველი ზონიდან კარვების გატანისა და ადგილზე მყოფი მოქალაქეების უსაფრთხო ადგილას გადაყვანის შესახებ *„აქციის მონაწილეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით“*[92], „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

შსს-ს ეს განმარტება მოკლებულია დამაჯერებლობას. თუ მდინარე რიონის ადიდების ალბათობა იმდენად მაღალი იყო, რომ სამართალდამცავებს პროტესტის მონაწილეთა კარვები უნდა აეღოთ მიმდებარე ტერიტორიიდან, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სახელმწიფო ასევე ვალდებული იყო, დაეცვა იქ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ამ მიზნით კი საჭირო იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის გაფრთხილება და მოწოდება, დაეტოვებინათ სახიფათო ტერიტორია. სახელწიფო ორგანოებს მსგავსი ნაბიჯები არ გადაუდგამთ, რაც საეჭვოს ხდის შსს-ს მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას მდინარე რიონის ადიდებისა და მიმდებარე ტერიტორიების დატბორვის მოსალოდნელ საფრთხესთან დაკავშირებით. კარვების აღების გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობაზე მეტყველებს ასევე

[90] შსს-ს განცხადება: https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/14417
[91] შსს-ს განცხადება: https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/14417
[92] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება: https://police.ge/en/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/14531

შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგობრივი ახსნა-განმარტებები კარვების აღების მიზეზებთან დაკავშირებით. შსს-ს თავდაპირველი განმარტებით, კარვების აღების მიზეზს წარმოადგენდა სოფელ ნამოხვანში გაუჩინარებული პირის სამძებრო სამუშაოების ხელშეწყობა. შემდგომ კი კარვების აღების მიზეზად მდინარე რიონის ადიდების საფრთხე დასახელდა.

ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, შეკრების ჩატარების ფორმის არჩევის თავისუფლება მშვიდობიანი შეკრების უფლების არსებითი ნაწილია[93]. შეკრების ფორმის თავისუფლება მოიცავს პროტესტის ადგილზე კარვებისა და სხვა დროებითი კონსტრუქციების განთავსების უფლებას. ამ თავისუფლების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ სახელმწიფოსა და საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესებისა და სხვა პირების უფლებების დასაცავად[94]. მსგავსი პრინციპებია ასახული საქართველოს კანონმდებლობაში პროტესტის ადგილზე კარვების თუ სხვა დროებითი კონსტრუქციების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ზემოთ წარმოდგენილ შემთხვევებში არ არსებობდა საქართველოს კანონმდებლობით ან ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ლეგიტიმური საფუძველი, რომელიც გაამართლებდა კარვების გამოყენების აკრძალვას. კარვებით არ ხდებოდა შენობათა შესასვლელების ბლოკირება, ისინი არც ტრანსპორტის შეფერხებას იწვევდნენ და არ ქმნიდნენ რაიმე საფრთხეს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა თუ სხვა ინდივიდების უფლებების რეალიზებისათვის. მომიტინგეებს არამართლზომიერად შეეზღუდათ შეკრების ადგილზე კარვების განთავსების უფლება. ეს მოხდა ბუდნოვანი და დაუსაბუთებელი არგუმენტებით, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო პრინციპებს.

პანდემია და შეკრებები

მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება არაპროპორციულად შეიზღუდა საქართველოში კოვიდ-19-ის პანდემიის სხვადასხვა ეტაპზე. კორონავირუსის გავრცელების საწყის ეტაპზე საგანგებო მდგომარეობის დროს, მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება მთლიანად აიკრძალა. ასევე შეიზღუდა პირთა ის თავყრილობები, რომელთა მიზანი არ იყო კონრეტული იდეისა თუ მოსაზრების ხალხამდე მიტანა.

[93] ეუთო/ოდირის და ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ, გვერდი 148:
https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2019)017rev-e
[94] *იქვე.*

საგანგებო მდგომარეობის დროს შეზღუდული უფლებების ჩამონათვალი განისაზღვრა პრეზიდენტის დეკრეტით. პრეზიდენტის დეკრეტის თანახმად, აიკრძალა ყველა სახის შეკრება, მანიფესტაცია და თავყრილობა. ამავე დროს, დეკრეტი უფლებას აძლევდა აღმასრულებელ ხელისუფლებას, გამონაკლისი დაეწესებინა ამ შეზღუდვიდან[95]. მთავრობამ არ დააწესა რაიმე სახის გამონაკლისი და შეკრებები და მანიფესტაციები სრულად აკრძალა, შესაბამისი დასაბუთების გარეშე. ეს კი არ წარმოადგენდა აუცილებელ და პროპორციულ ზომას კორონავირუსთან ბრძოლის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და კორონავირუსის პრევენციის იგივე მიზანი შესაძლოა, მიღწეულიყო შეკრებებზე კონკრეტული რეგულაციების დაწესებით, მათ შორის - მონაწილეთა რაოდენობასთან, დისტანციის დაცვასა და პირბადის ტარებასთან დაკავშირებით, ევროპის არაერთი ქვეყნის მსგავსად, და არა მათი ბლანკეტური აკრძალვის გზით[96].

2020 წლის მაისში დასრულდა საგანგებო მდგომარეობა და მოიხსნა აკრძალვა შეკრებებზე. 2020 წლის ზაფხულში საქართველოში არ მოქმედებდა მკაცრი ზომები კოვიდ-19-ის გავრცელების წინააღმდეგ. 2020 წლის ოქტომბერში ინფიცირების შემთხვევების რაოდენობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და საქართველო Covid-19-ის გავრცელების თვალსაზრისით გახდა მაღალი რისკის - ე. წ. წითელი ზონა. თუმცა, ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებები არ გატარებულა. ეს პერიოდი დაემთხვა წინასაარჩევნო პერიოდს და შესაბამისად პოლიტიკური პარტიებისთვის მნიშვნელოვანი იყო წინასაარჩევნო შეხვედრებისა და შეკრებების გამართვის თავისუფლება. ამასთანავე, საქართველოში კოვიდ-19-ის სიტუაციის შემდგომი გამწვავების თავიდან ასაცილებლად, საჭირო იყო დროული და გონივრული შეზღუდვების დაწესება. მთავრობამ შეზღუდვები ადამიანთა გადაადგილებასა და საჯარო სივრცეში ყოფნაზე მაშინ დააწესა, როდესაც პოლიტიკურმა დაძაბულობამ იმატა და 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განსაკუთრებით გახშირდა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აქციები. ყოველივე ამან შექმნა განცდა, რომ შეზღუდვები უფრო პოლიტიკური სიტუაციის საპასუხოდ იყო დაწესებული, ვიდრე კრიტიკულად გაუარესებული კოვიდ-19-ის მდგომარეობაზე რეაგირებისათვის.

ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდებოდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ბლოკის - *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული*

---

[95] საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დეკრეტი N1 "საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ", მუხლი 1(6): https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830372?publication=0

96 ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება ახალი კორონავირუსის გავრცელების პირობებში შეკრების თავისუფლების არამართლზომიერ შეზღუდვასთან დაკავშირებით: http://www.hrc.ge/163/geo/

ოპოზიციის“ წინასაარჩევნო შეკრებას, რომელიც საპარლამენტო არჩევნებამდე ორი დღით ადრე, 2020 წლის 29 ოქტომბერს გაიმართა თბილისის ცენტრალურ ნაწილში, თავისუფლების მოედანზე. ახალი კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ არსებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, აქციის ორგანიზატორებმა თავისუფლების მოედანზე შეკრების მონაწილეთათვის სკამები განალაგეს ორმეტრიანი დისტანციის დაცვით. ორგანიზატორები ასევე მოუწოდებდნენ მონაწილეებს ნიღბების ტარებისა და ორმეტრიანი ფიზიკური დისტანციის დაცვისკენ. ამ შეკრებაში დაახლოებით 10 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. აქციის მონაწილეთა დიდი რაოდენობის გამო ვერ მოხერხდა რეკომენდებული ფიზიკური დისტანციის სრულად დაცვა მონაწილეთა შორის.

8 ნოემბერს პარლამენტის შენობის წინ გაიმართა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების დიდი საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილეებიც უნდობლობას უცხადებდნენ საპარლამენტო არჩევნების შედეგებს, მოითხოვდნენ ხელახალი არჩევნების დანიშვნასა და პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას. მომიტინგეებმა მოგვიანებით ცესკოს შენობასთან გადაინაცვლეს, სადაც სამართალდამცავებმა მათ მიმართ სპეციალური საშუალებები, წყლის ჭავლი და წიწაკის სპრეი წინასწარი გაფრთხილების გარეშე გამოიყენეს, რითაც დაირღვა საქართველოს კანონმდებლობა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო პრინციპები. 9 ნოემბერს ხელისუფლებამ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე „კომენდანტის საათი“ დააწესა, და ეს ახსნა კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის, ასევე მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნებით. თუმცა, შეზღუდვების შემოღების დრო წარმოქმნიდა საფუძვლიან ეჭვს, რომ რეალურ მიზანს წარმოადგენდა საპროტესტო მოძრაობის შეჩერება, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა საპარლამენტო არჩევნების შემდგომ.

2020 წლის 9 ნოემბერს ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ გამართეს საპროტესტო აქცია, რითაც ითხოვდნენ ცესკოს თავმჯდომარის გადადგომას, ხელახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნასა და პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას. პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა გადაწყვიტეს, არ დამორჩილებოდნენ კომენდანტის საათის წესებს და მთელი ღამით დარჩენილიყვნენ შეკრების ადგილზე. მათ მიმართეს შეკრების მონაწილეებს, რომ თავად მიეღოთ ინდივიდუალური გადაწყვეტილება ღამის განმავლობაში დარჩენის შესახებ. შეკრების ზოგიერთი მონაწილე მართლაც დარჩა პარლამენტის წინ ღამის განმავლობაში. კომენდატის საათების მოქმედების პერიოდში საპროტესტო აქციაზე შემდეგი ტენდენცია დაფიქსირდა: პოლიცია კომენდანტის საათის დარღვევის გამო აჯარიმებდა იმ პირებს, რომლებიც ტოვებდნენ პროტესტის არეალს. საპროტესტო აქციის პერიმეტრში დარჩენილ ადამიანებს არ აჯარიმებდნენ.

კომენდანტის საათის წესების თანახმად, მთელი ქვეყნის მასშტაბით საღამოს 22:00 საათიდან დილის 05:00 საათამდე იკრძალებოდა ადამიანთა გადაადგილება ფეხით თუ ავტომობილით, ასევე მათი ყოფნა საჯარო სივრცეში. 28 ნოემბერს, კომენდანტის საათის პერიოდი შეიცვალა 21:00 საათიდან 05:00 საათამდე. ეს შეზღუდვები ხელისუფლებამ შემოიღო „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სადაც 2020 წლის მაისში შესული ცვლილებებით, მთავრობის უფლებამოსილება გაფართოვდა და მას უკვე შეეძლო, პანდემიისა და ეპიდემიის დროს საკარანტინო ზომების ფარგლებში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შეეზღუდა ადამიანის ძირითადი უფლებები[97]. კომენდანტის საათის დარღვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განიხილებოდა და დამრღვევის მიმართ არაპროპორციულად მაღალ ჯარიმას იწვევდა[98]. 2020 წლის მარტიდან თბილისში და საქართველოს ექვს ქალაქში - ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ზუგდიდი, გორი და ფოთი - აიკრძალა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა.

ე. წ. კომენდანტის საათის დაწესებამ და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვამ დაბრკოლებები შეუქმნა მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების სრულ რეალიზაციას. სამართალდამცავი ორგანოები აჯარიმებდნენ მომიტინგეებს (მათ შორის - აქტივისტებს) „კომენდანტის საათის“ დარღვევისათვის, როდესაც პროტესტი გრძელდებოდა იმ საათებში, როდესაც გადაადგილება აკრძალული იყო (საღამოს 21:00 საათისა და დილის 05:00 საათის შუალედში). ბევრი ადამიანისთვის შეუძლებელი გახდა საპროტესტო აქციებში მონაწილეობა იმის გათვალისწინებით, რომ მათ 18:00 საათამდე უნდა ემუშავათ, ხოლო შემდგომი დრო ძალიან მცირე იყო იმისათვის, რომ აქციას შეერთებოდნენ და სახლში „კომენდანტის საათის“ დაწყებამდე დაბრუნებულიყვნენ.

ე. წ. კომენდანტის საათის დარღვევისთვის მომიტინგეთა დაჯარიმება უნდა შეფასდეს მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებაში არამართლზომიერ ჩარევად. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მთავრობას უფლებას აძლევს, დააწესოს კორონავირუსთან ბრძოლის ღონისძიებები, მთავრობას ანიჭებს უფლებამოსილებას, შეზღუდოს გადაადგილების თავისუფლება და სოციალური ღონისძიებების ჩატარების მიზნით პირთა თავშეყრა. თუმცა, ის არ ეხება შეკრებებსა და მანიფესტაციებს. შესაბამისად, საპროტესტო აქციების

[97] იხ. ანგარიში: http://hrc.ge/files/reports/121Final%20Quarterly%20Report%20COVID19%20Georgia%20Jan%20-eng%202021.pdf

[98] დაახლოებით 500 ევრო (2 000 ლარი) ფიზიკური პირების შემთხვევაში და დაახლოებით 2 500 ევრო (10 000 ლარი) - იურიდიული პირების შემთხვევაში. აღნიშნული ჯარიმები არ ითვალისწინებდა საქართველოში არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობას, რომელიც კიდევ უფრო გაუარესდა პანდემიის დროს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2019 წლისთვის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა 336 ლარს (დაახლოებით 102 დოლარს).

მონაწილეთა გადაადგილების უფლება მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებით უნდა ყოფილიყო დაცული. სამწუხაროდ, ზემოხსენებული არგუმენტაცია არ გაიზიარა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ[99].

ე. წ. კომენდანტის საათმა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეჩერებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა შეკრებებისა და მანიფესტაციების სრულფასოვანი ორგანიზება და შეამცირა აქციის მონაწილეთა რაოდენობა. იმის შეფასებისას, თუ როგორ იმოქმედა „კომენდანტის საათმა“ შეკრებებისა და მანიფესტაციების სრულფასოვნად ორგანიზების შესაძლებლობაზე, ერთ-ერთმა რესპონდენტმა, რომელიც არის სამოქალაქო მოძრაობის ლიდერი, გვიპასუხა: *„კომენდანტის საათში ვხედავდით პირდაპირ პროტესტის აკრძალვას. ამასთან იყო დაკავშირებული დაუმორჩილებლობის აქცია”*.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის აკრძალვამ ბევრ ადამიანს გაურთულა საპროტესტო აქციებში მონაწილეობის შესაძლებლობა. *„საზოგადოებრივი ტრანსპორტი რომ არ იყო, ეგ დიდ პრობლემას ჰქმნიდა. პერსონალური მანქანით მოსვლა, ხშირ შემთხვევაში, არ არის შესაძლებელი. ასევე, გაზრდილ ხარჯებთან იყო ეს ყველაფერი დაკავშირებული. ვცდილობდით, რომ გვყოლოდა მოხალისე ჯგუფები, რომლებიც პირბადეებს არიგებდნენ აქციებზე. ვცდილობდით, რომ გვეკონტროლებინა ეგ მაინც, რომ პირბადე კეთებოდა იქ ადამიანებს და მიკროფონსაც ვასხურებდით ხოლმე სადეზინფექციო ხსნარს გამომსვლელებს შორის. ახალგაზრდების მცირე ჯგუფებს ვავალებდით, რომ პირბადეები დაერიგებინათ. ხარჯებს ზრდიდა ეს ყველაფერი“* - განაცხადა ერთ-ერთმა რესპონდენტმა, სამოქალაქო მოძრაობის ლიდერმა, რომელიც მიმდინარე პროექტის ფარგლებში გამოიკითხა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ.

პანდემიის განმავლობაში არაერთი აქცია გაიმართა მკაცრი რეგულაციების გაუქმების მოთხოვნით. 30 იანვარს, მომსახურებისა და ტურიზმის სფეროების წარმომადგენლების ორგანიზებით, ქალაქ თბილისში გაიმართა აქცია, სახელწოდებით „გახსენით ქვეყანა“. აქციაში მონაწილეობდნენ გასართობი ცენტრების, ფიტნესცენტრების, მაღაზიების მფლობელები, რესტორატორები, ტუროპერატორები, ფოტოხელოვანები და მომსახურებისა და ტურიზმის სფეროს სხვა წარმომადგენლები. მშვიდობიანი პროტესტის გზით, აქციის მონაწილეები ითხოვდნენ: კომენდანტის საათის გაუქმებას, საზოგადოებრივი და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მუშაობის განახლებას, რესტორნებისა და კაფეების გახსნას შესაბამისი რეგულაციების დაცვით ღია და დახურულ სივრცეებში, ფიტნეს და სპორტული დარბაზების შესაბამისი უსაფრთხოების

[99] http://www.hrc.ge/files/9covid-analitic-eng.pdf

წესებით დაცვით გახსნას, სახელოვნებო სივრცეების გახსნას შესაბამისი რეგულაციებით და სხვ.

2021 წლის 3 აპრილს პარლამენტის შენობის წინ, საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა მოძრაობებმა (მათ შორის: „სირცხვილია“, „დროა“, „შეცვალე“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“) გამართეს საპროტესტო აქცია სახელწოდებით „დაასრულე კომენდანტი“. მომიტინგეები ქალაქის ცენტრალურ ნაწილში სამ სხვადასხვა ლოკაციაზე შეიკრიბნენ და მშვიდობიანი მსვლელობა მოაწყვეს პარლამენტისაკენ. როგორც წინასწარ განაცხადეს, ისინი აპირებდნენ, დაერღვიათ „კომენდანტის საათი“ პროტესტის ნიშნად. გზის საფეხმავლო ნაწილზე გაშლილი იყო კარვები, რომლებშიც იმყოფებოდნენ სამოქალაქო მოძრაობათა წარმომადგენლები, მათ შორის - რეგიონებიდან ჩამოსული პირები.

ფოტო: მომიტინგეები იკრიბებიან საფეხმავლო ნაწილზე კარვებთან

19:30 საათზე პარლამენტის წინ დაახლოებით 7 000 ადამიანი შეიკრიბა. მათი მთავარი მოთხოვნა იყო „კომენდანტის საათის“ მოხსნა და კოვიდ 19-თან დაკავშირებული რეგულაციების დარღვევისთვის მოქალაქეებზე გამოწერილი ჯარიმების გაუქმება. ის პირები, რომელთაც სურვილი ჰქონდათ, არ დამორჩილებოდნენ „კომენდანტის საათის“ წესებს, დარჩნენ საპროტესტო აქციის ტერიტორიაზე პარლამენტის შენობის სიახლოვეს მთელი ღამის განმავლობაში. აქციის ორგანიზატორი ერთ-ერთი ჯგუფის ლიდერის განცხადებით, დაუმორჩილებლობის შესახებ გადაწყვეტილება სრულიად ნებაყოფლობითი იყო - *„პრიორი დასარღვევად არ იყო ეს აქცია გაკეთებული. დარღვევა ნებაყოფლობითი იყო. ძირითად მასას არ დაურღვევია კომენდანტის საათი“.* აქციამ მშვიდობიანად ჩაიარა. საპროტესტო აქციის პერიმეტრში დილამდე დარჩენილი ადამიანები არ დაუჯარიმებიათ.

2021 წლის აპრილისთვის ქვეყანაში კოვიდ-19-ის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დაავადების გავრცელების მაჩვენებლების შემცირების შემდეგ შეზღუდვების უმეტესობა მოიხსნა, მათ შორის, საზოგადოებრივ/სოციალურ

ღონისძიებებთან დაკავშირებული შეზღუდვები. ძალაში რჩებოდა მხოლოდ ე.წ. კომენდანტის საათი და ღამის საათებში გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა. 17 მაისს, „კომენდანტის საათის“ პერიოდი შეიცვალა და მოქმედებდა 23:00 საათიდან 05:00 საათამდე. 1 ივლისს „კომენდანტის საათი“ მოიხსნა. „კომენდანტის საათი“ და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, საერთო ჯამში, საქართველოში მოქმედებდა **უწყვეტად დაახლოებით შვიდნახევარი თვის განმავლობაში,** შეზღუდვების მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის შესახებ სათანადო ახსნა-განმარტებისა და შესაბამისი გეგმის გარეშე, თუ რა ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლებოდა ამ შეზღუდვების გაუქმება. შესაბამისად, ლეგიტიმურად უნდა მივიჩნიოთ ის შეშფოთება, რომ ამდენი ხნის განმავლობაში „კომენდანტის საათის“ მოქმედების რეალური მიზეზი საქართველოში მზარდი საპროტესტო მოძრაობის შეკავება იყო.

კოვიდ 19-თან დაკავშირებული რეგულაციებისა და რეკომენდაციების დაცვის კუთხით, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის შედეგების თანახმად, შეკრებებზე შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა: უმეტეს შემთხვევაში, შეკრების მონაწილეთა შორის დაცული არ იყო ორმეტრიანი ფიზიკური დისტანცია. ეს განსაკუთრებით პრობლემური იყო დიდი შეკრებების დროს, რომლებშიც ათასობით ადამიანი მონაწილეობდა. შეკრების მონაწილეები და სამართალდამცავი პირები, უმეტეს შემთხვევებში, ატარებდნენ ნიღბებს, მაგრამ ხშირად ნიღბის ტარება არასწორი ფორმით ხდებოდა, მაგალითად - ნიღაბი სრულად არ ფარავდა სახეს. ხშირ შემთხვევაში, შეკრების ორგანიზატორები მონაწილეებს ურიგებდნენ ნიღბებს.

❖ პანდემიის დროს შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგი

გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა და სხვა აკრძალვები უარყოფითად აისახა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობაზე, განსაკუთრებით კი - უფლებადამცველ ორგანიზაციებზე. ხელისუფლებამ არ მისცა უფლებადამცველებს რეალური შესაძლებლობა, მიეღოთ ნებართვები ღამის საათებში გადაადგილებისა და შეკრებებსა და მანიფესტაციებზე მონიტორინგის განხორციელებისათვის. არსებული რეგულაციებით, ნებართვები გაიცემოდა გარკვეული სამთავრობო ორგანოების წარმომადგენლებზე, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირებზე, ჟურნალისტებზე და იმ ადვოკატებზე, რომლებსაც ჰქონდათ ორდერი კონკრეტული საპროცესო მოქმედების შესასრულებლად. ნებართვა ასევე გაიცემოდა *„განსაკუთრებული გარემოების“* ან *„წინასწარ გაუთვალისწინებელი გარემოების“* შემთხვევებისათვის. ადამიანის უფლებათა ცენტრი დაუკავშირდა სამთავრობო უწყებებს და დაინტერესდა, უფლებადაცვითი საქმიანობა და საპროტესტო აქციების მონიტორინგი თუ

ჩაითვლებოდა ნებართვების გაცემის საფუძვლად. ამ საკითხთან დაკავშირებით სამთავრობო უწყებებს არ გაუციათ დადებითი პასუხი. არსებული სიტუაცია ნეგატიურად აისახა უფლებადამცველების მუშაობაზე, რადგან ისინი ვერ გადიოდნენ გარეთ გვიან და ვერ აკვირდებოდნენ საპროტესტო აქციებზე შესაძლო დარღვევებს. მონიტორებს უწევდათ აქციის დატოვება კომენდანტის საათის დაწყებამდე და მონიტორინგის ონლაინ რეჟიმში გაგრძელება.

დემონსტრანტების მსვლელობის ხელშეწყობის ცალკეული შემთხვევები პოლიციის მიერ

2020 წლის ოქტომბრიდან 2021 წლის ივლისის ჩათვლით, ადამიანის უფლებათა ცენტრი 15 საპროტესტო აქციას დააკვირდა. ამ აქციებს შორის იყო რამდენიმე დემონსტრაცია, როგორც სპონტანური, ასევე დაგეგმილი, სადაც პოლიციამ ადეკვატური მოქმედებები გაატარა დემონსტრანტების მსვლელობის ხელშესაწყობად. ხელშემწყობი ღონისძიებები მოიცავდა, საჭიროების შემთხვევაში, ტრანსპორტის სავალი ნაწილის ჩაკეტვასა და ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვას, ფეხითმოსიარულე მსვლელობის მონაწილეთა მოძრაობის ხელშესაწყობად. მსგავსი დემონსტრაციები აღწერილია ქვემოთ.

„გახსენით ქვეყანა“

აქცია სახელწოდებით „გახსენით ქვეყანა“ ტურიზმისა და მომსახურების სფეროს წარმომადგენელთა მიერ 2021 წლის 30 იანვარს გაიმართა, კორონავირუსთან დაკავშირებული შეზღუდვების გაპროტესტების მიზნით. აქციის მთავარ ლოკაციას წარმოადგენდა მთავრობის კანცელარიის წინ არსებული ტერიტორია. პროტესტის მონაწილეები ქალაქ თბილისის ცენტრში, ორ სხვადასხვა ლოკაციაზე შეიკრიბნენ - პუშკინის სკვერსა და მთავრობის კანცელარიის წინ. პუშკინის სკვერთან შეკრებილმა პირებმა დემონსტრაციით, თავისუფლების მოედნის გავლით გადაინაცვლეს მთავრობის კანცელარიასთან.

თავისუფლების მოედანზე დემონსტრანტთა მსვლელობისას, მოედანზე მყოფმა პატრულ-ინსპექტორებმა რუსთაველის გამზირიდან თავისუფლების მოედნისაკენ მომავალი ავტომანქანების ძირითადი ნაკადი შეაჩერეს, რომელსაც შეიძლებოდა საფრთხე შეექმნა დემონსტრანტებისათვის. მას შემდეგ, რაც დემონსტრანტებმა თავისუფლების მოედანი გაიარეს და გიორგი ლეონიძის ქუჩისკენ აუხვიეს, მოედანზე მანქანების მოძრაობა აღდგა.

დემონსტრანტები კვეთენ თავისუფლების მოედანს, სკანდირებით: „გახსენით ქვეყანა! გახსენით ქვეყანა!“

გიორგი ლეონიძის ქუჩაზე დემონსტრანტებს პატრული მოუწოდებდა, გადასულიყვნენ ტროტუარზე, მარჯვენა მხარეს, რათა არ შეეშალათ ხელი ქუჩაზე მანქანების მოძრაობისათვის. მოთხოვნას დემონსტრანტების დიდი ნაწილი დაემორჩილა. მალე დემონსტრაციამ ლეონიძის ქუჩიდან გადაუხვია პავლე ინგოროყვას ქუჩაზე. ინგოროყვას ქუჩაზე ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა სრულად დროებით, როდესაც მანიფესტანტებმა დაიკავეს მთლიანად ქუჩა. ბოლოს დემონსტრანტები შეუერთდნენ მთავრობის კანცელარიის წინ, მთავარ ლოკაციაზე ახლადდაწყებულ აქციას.





თანადგომის აქტი ხელმოწერებით

ბანერი: „სადა ხარ ხელისუფლებავ?!“

აქცია - „არა საბჭოთა რეჟიმს!“

23 თებერვალს, ოპოზიციური პარტიის ლიდერებისა და სამოქალაქო აქტივისტების ორგანიზებით მთავრობის კანცელარიის წინ გაიმართა აქცია სახელწოდებით „არა საბჭოთა რეჟიმს!“ აქცია მოჰყვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის, ნიკა მელიას დაკავების ფაქტს. აქციის მონაწილეთა მთავარ მოთხოვნებს წარმოადგენდა ნიკას მელიას გათავისუფლება და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა.

აქციის დაწყებიდან ერთ საათში ორგანიზატორებმა მიიღეს გადაწყვეტილება, დემონსტრაციის ფორმით გადაენაცვლებინათ პარლამენტის წინ. მსვლელობა წარიმართა მშვიდობიანად, ტაშის, სტვენისა და შეძახილების ფონზე. მას შემდეგ, რაც აქციის მონაწილეები სრულად გადაადგილდნენ კანცელარიიდან პარლამენტის წინ, მათი დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, მათ დაიკავეს რუსთაველის გამზირის სამანქანო გზა. პოლიცია პარლამენტის მოპირდაპირე მხარეს არსებული მუზეუმის შენობის წინ განთავსდა მთელ პერიმეტრზე.

პოლიციამ ჩაკეტა სამანქანო გზა ერთ მხარეს - სასტუმრო „თბილისი მერიოტთან“ და მეორე მხარეს - თავისუფლების მოედანთან.

პარლამენტის წინ, ტრანსპორტის სავალ ნაწილზე აქციის მონაწილეებმა გაშალეს 2 კარავი, რასაც პოლიციის მხრიდან წინააღმდეგობა არ მოჰყოლია.

აქციის მონაწილეებმა დაახლოებით 18:00 საათზე დაშლა დაიწყეს. 19:00 საათზე აქცია დასრულდა. აქციის დასრულების შემდგომ, მყისიერად აღდგა სამანქანო მოძრაობა რუსთაველის გამზირზე. აქციის მონაწილეებმა კარვები ტროტუარზე გადაიტანეს.

ოპოზიციური პარტიების გაერთიანებული საპროტესტო აქცია „მარში თავისუფლებისთვის“ 26 თებერვალს გაიმართა, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის, - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის, ნიკა მელიას დაკავებიდან რამდენიმე დღეში. დემონსტრანტების მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა ნიკა მელიას გათავისუფლება და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

აქციის მონაწილეები ქალაქის ცენტრალურ ნაწილში რამდენიმე ლოკაციაზე შეიკრიბნენ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ბაღში, ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე, მეტრო რუსთაველთან, პარლამენტისა და მთავრობის კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიებზე.

13:00 საათიდან პოლიტიკური გაერთიანება „ლელოს“ ლიდერებმა, მხარდამჭერებთან ერთად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღიდან დაიწყეს მსვლელობა და გადავიდნენ მელიქიშვილის გამზირზე, სადაც ტრანსპორტის სავალ ნაწილზე საპატრულო პოლიციელებმა დროებით შეაჩერეს მოძრაობა.

„ლელოს“ დემონსტრაცია გაემართა ფილარმონიისაკენ, ოპოზიციის დანარჩენ მხარდამჭერებთან შესაერთებლად.

13:15 საათზე „ლელოს“ დემონსტრაცია მელიქიშვილის გამზირზე ფილარმონიასთან შეუერთდა დანარჩენი ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერ მრავალათასიან შეკრებას. შემდეგ ოპოზიცია გაერთიანებული ძალებით პარლამენტისკენ გაემართა. დემონსტრაციამ კოსტავას გამზირი გადაკეტა. მეტრო „რუსთაველთან“ დემონსტრაციას კიდევ შეუერთდა მხარდამჭერთა დიდი ჯგუფი.

13:30 საათზე ოპოზიციის დემონსტრაციამ მთლიანად დაიკავა რუსთაველის გამზირი და საქართველოს პარლამენტის წინ შეკრებილ აქციის მონაწილეებს შეუერთდა[100].

ფოტოზე: რუსთაველის გამზირი მთლიანად სავსეა მანიფესტანტებით

14:30 საათზე მიტინგის წამყვანმა გამოაცხადა, რომ აქციის მონაწილეები უნდა გადანაცვლებულიყვნენ მთავრობის კანცელარიასთან, ჩიტაძის და ინგოროყვას ქუჩების გავლით, **„რათა მთავრობამაც გაიგონოს ხალხის პროტესტის ხმა“.** გეგმის თანახმად, ამის შემდეგ, აქცია ისევ დაბრუნდებოდა პარლამენტთან. ოპოზიციის საპროტესტო აქციამ კვლავ მიიღო მანიფესტაციის სახე. საყვირების და სასტვენების ხმაურით მანიფესტაცია დაიძრა და გადაადგილდა ჩიტაძის ქუჩაზე ინგოროყვას ქუჩის მიმართულებით.

16:00 საათისთვის აქციის მონაწილეთა რაოდენობა ძალიან შემცირდა. ამ დროისათვის, უხეში დათვლით, პარლამენტის წინ 5000-მდე ადამიანი იმყოფებოდა, მაშინ როცა აქციის პიკის ფაზაში, აქციაში დაახლოებით 10 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. სავარაუდოდ, რეგიონიდან ჩამოსული მხარდამჭერები, მანიფესტაციაში მონაწილეობის შემდეგ, უკან გაბრუნდნენ ე.წ. კომენდანტის საათის გამო[101].

წინა დღეებისგან განსხვავებით, როცა პოლიცია აქციის მონაწილეებს არ აძლევდა კარვების გაშლის საშუალებას, აქციის მონაწილეებმა პარლამენტის წინ ადვილად გაშალეს კარვები. პოლიციას წინააღმდეგობა არ გამოუხატავს. 16:20 საათისთვის პარლამენტის წინ უკვე 10 კარავი იდგა, მათ შორის - პანკისის ხეობაში

[100] იხ. მინიტორის მიერ გამოქვეყნებული ვიდეო ადამიანის უფლებათა ცენტრის გვერდზე: https://fb.watch/4rmwO8om5u/

[101] იხ. მონიტორის მიერ გამოქვეყნებული პოსტი აქციიდან ადამიანის უფლებათა ცენტრის ფეისბუკ-გვერდზე: https://www.facebook.com/humanrights.ge/posts/4316153338395458

სპეცოპერაციის დროს მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის მამის კარავიც, რომელსაც გარედან ეწერა: *„დაისაჯონ თემირლანის მკვლელები“.*

ამ დროს რუსთაველის გამზირზე ავტომანქანების მოძრაობა კვლავ შეწყვეტილი იყო. პოლიციას გამზირთან დამაკავშირებელი გზები გადაკეტილი ჰქონდა.

18:00 საათზე აქციის მონაწილეებმა რუსთაველის გამზირზე გზის სავალ ნაწილზე კარვები გაშალეს. ადგილზე მყოფმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა აქციის მონაწილეებს მოსთხოვეს კარვების ტროტუარზე გადატანა, ვინაიდან, მათი თქმით, კარვები სამანქანო მოძრაობას შეუშლიდა ხელს. ერთი საათის შემდეგ, აქციის მონაწილეებმა გამზირიდან კარვები აიღეს და გადაიტანეს ტროტუარზე. *„ხელისუფლებას ვაძლევთ ვადას ორი კვირის მანძილზე, რომ შეასრულონ მოთხოვნები, რაც დავაყენეთ. თუ არადა, ორ კვირაში გავავსებთ კარვებით პროსპექტს. ახლა გადავიტანთ გზის სავალი ნაწილიდან, მოქალაქეებსაც რომ არ შევუქმნათ პრობლემები“,-* განაცხადა მოძრაობა „საქართველოსთვის“ წარმომადგენელმა კახაბერ კვეკვესკირმა[102].

საღამოს 20:00 საათისთვის აქციის მონაწილეები დაიშალნენ. პარლამენტთან რამდენიმე კარავი დარჩა.

აქცია „დაასრულე კომენდანტი“

აქცია „დაასრულე კომენდანტი“ წარმოადგენდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობების მიერ ორგანიზებულ აქციას, რომლის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა ე. წ. კომენდანტის საათისა და კორონავირუსთან დაკავშირებული ჯარიმების გაუქმება. აქციის გამართვა დაგეგმილი იყო 3 აპრილს, 17:00 საათზე პარლამენტის შენობის წინ. პროტესტის მონაწილეები სამი სხვადასხვა ლოკაციიდან უნდა შეერთებოდნენ აქციის ძირითად ლოკაციას: მოძრაობა „სირცხვილია“ - ვასო გოძიაშვილის ბაღიდან, მოძრაობები „სოცაფეთქება“ და „დროა“ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიიდან და „გირჩი“ - ვაკის პარკიდან.

გეგმის თანახმად, მსვლელობები ერთმანეთს უნდა შეერთდებოდნენ ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე და საერთო მსვლელობით მისულიყვნენ პარლამენტის წინ.

ვასო გოძიაშვილის ბაღიდან მსვლელობის დაწყებამდე, აქციის ორგანიზატორებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს შორის

[102] ნეტგაზეთის ინფორმაცია: https://netgazeti.ge/news/522926/

დიალოგი გაიმართა. შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ პოლიცია აქციის მონაწილეებს გაუთავისუფლებდა საავტომობილო მოძრაობის უკიდურეს მარჯვენა ზოლს, სადაც დემონსტრანტებს ექნებოდათ თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა.

შსს-ს თანამშრომლებსა და აქციის ორგანიზატორებს შორის შეთანხმებისამებრ, მსვლელობა დაიწყო საავტომობილო გზის მარჯვენა ზოლში. მარში წარიმართა მშვიდ გარემოში, პოლიციის ხელშეწყობით. პოლიციის თანამშრომლები იცავდნენ მარშის მონაწილეთა უსაფრთხოებას - მანქანებს მიუთითებდნენ, შეენელებინათ გზა და არ გადმოსულყვნენ აქციის მონაწილეთა მხარეს.

მელიქიშვილის გამზირზე, „სირცხვილიას“ მარში შეუერთდა „გირჩის“ მარშს. გაერთიანებული მარში ფილარმონიასთან შეუერთდა „სოცაფეთქების“ მარშს. „თბილისი მარიოტიდან“ მათ დაიკავეს მოძრაობის ყველა ზოლი. პოლიციას უკვე სრულად ჰქონდა გადაკეტილი რუსთაველის გამზირი „თბილისი მარიოტიდან“ პარლამენტის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ აქციის დაწყებამდე, ვიდრე „სირცხვილიას“, „გირჩისა“ და „სოცაფეთქების“ ერთობლივი მსვლელობის მონაწილეები რუსთაველის გამზირზე მივიდოდნენ, პოლიცია პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ აქციის მონაწილეებს რუსთაველის გამზირზე გადასვლის უფლებას არ აძლევდა.

18:00 საათისთვის პარლამენტის წინ შესამჩნევად გაიზარდა საპროტესტო აქციის მონაწილეთა რაოდენობა. ისინი თავს იყრიდნენ ტროტუარზე განთავსებულ კარვებთან და ამ დროისათვის ტროტუარზე მოქალაქეთა მოძრაობა შეფერხდა. რუსთაველის გამზირზე მოძრაობა არ გადაკეტილა. გამვლელებს უჭირდათ ტროტუარზე გადაადგილება, თუმცა, პროტესტს არ გამოხატავდნენ.

ფოტოზე: ტროტუარზე კარვებთან შეკრებილი აქციის მონაწილეები

19:00 სათიდან პარლამენტის წინ ტერიტორია, რუსთაველის გამზირის გზის სავალი ნაწილი მთლიანად დაიკავეს აქციის მონაწილეებმა. პოლიციამ გზა გადაკეტა და ამის შემდეგ გამზირზე მთელი ღამის განმავლობაში აქცია და კონცერტი მიმდინარეობდა.

ფოტოზე: ბანერები - „ᲰᲝᲖᲜᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲝᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ?!“ „ᲙᲝᲛᲓᲔᲜᲓᲐᲜᲢᲘ“

რიონის ხეობის მცველთა დემონსტრაცია

რიონის ხეობის მცველებმა, რომლებიც ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობას აპროტესტებენ, 24 მაისს ქალაქ თბილისში მასშტაბური აქცია დააანონსეს. მათ მოთხოვნებს, სხვა საკითხებთან ერთად, წარმოადგენდა საქართველოს მთავრობასა და კომპანია „ენკა რინიუებლზს“ შორის დადებული ხელშეკრულების გაწყვეტა მდინარე რიონზე დაგეგმილი ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის შესახებ, კომპანიის მიერ რიონის ხეობის დატოვება და ნამახვანის ჰესების კასკადზე 2015 წელს გაცემული სამშენებლო ნებართვისა და ყველა სხვა მასზე დაფუძნებული დოკუმენტის გაუქმება.

აქციის ორგანიზატორებმა ქალაქ თბილისის მოსახლეობას მოუწოდეს, 24 მაისს 12:00 საათისთვის შეკრებილიყვნენ რესპუბლიკის მოედანზე, სადაც გამოაცხადებდნენ შემდგომი მოქმედებების გეგმას, იმის მიხედვით, ხელისუფლებისგან რა პასუხს მიიღებდნენ.

24 მაისს 12:00 საათზე რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილი იყო ათასამდე მოქალაქე. რესპუბლიკის მოედნის ნაწილი ეკავა დაახლოებით 50-მდე კარავს, სადაც ღამე გაათიეს აქციის ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა. ხალხის სიმცირის გამო რესპუბლიკის მოედანზე ავტომანქანების მოძრაობა არ იყო ბოლომდე გადაკეტილი.

15:30 საათზე აქციის ორგანიზატორებმა დაიწყეს მსვლელობა და გაემართნენ რუსთაველის გამზირისკენ. ფოსტის ძველ შენობასთან მსვლელობას გზა

გადაუკეტა პოლიციამ. მსვლელობის მონაწილეები ცოტა ხნით შეჩერდნენ პოლიციის ცოცხალი ჯაჭვის წინ და მოულოდნელად გაემართნენ მარცხნივ, სასტუმრო „რედისონისკენ“ და რეზო თაბუკაშვილის ქუჩისკენ. აქციის ორგანიზატორებმა რუპორით მიმართეს მონაწილეებს, რომ თაბუკაშვილის ქუჩის გავლით მივიდოდნენ იუსტიციის სახლთან.

16:00 საათზე „რიონის ხეობის მცველთა“ დემონსტრაცია რეზო თაბუკაშვილის ქუჩის გავლით მშრალი ხიდისკენ გაემართა. თაბუკაშვილის ქუჩაზე მოძრაობა გადაიკეტა. პოლიცია წინ მიუძღოდა აქციას და უზრუნველყოფდა საავტომობილო მოძრაობის შეჩერებას.

16:30 საათზე დემონსტრაციამ ჩაუხვია გია ჭანტურიას ქუჩაზე, შემდეგ კი - სოლიკო ვირსალაძის ქუჩის გავლით გადავიდა ზვიად გამსახურდიას სახელობის მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. აქ პოლიცია შეეცადა, ავტომაგისტრალის ნახევარზე შეენარჩუნებინა მოძრაობა, მაგრამ აქციის მონაწილეები სწრაფად გადავიდნენ მაგისტრალზე და პოლიციაც იძულებული გახდა, ავტომანქანების მოძრაობა მთლიანად გაეჩერებინა.

ფოტოზე: დემონსტრაცია იუსტიციის სახლთან - დაახლოებით 3000 მონაწილე კეტავს ზვიად გამსახურდიას სახელობის მარჯვენა სანაპიროს

იუსტიციის სახლთან „რიონის ხეობის მცველთა" დემონსტრაცია ნახევარი საათით გაჩერდა. მოძრაობის ლიდერებმა სიტყვით მიმართეს აქციის მონაწილეებს და კომენტარები მისცეს მედიას. მედია პირდაპირ ეთერში გადასცემდა აქციას. ამ დროის განმავლობაში სანაპიროზე ავტომანქანების მოძრაობა პარალიზებული იყო. პოლიციის წარმომადგენლები იდგნენ თავისუფლების მოედნისკენ მიმავალ საავტომობილო გზაზე.

17:30 საათზე საპროტესტო აქციის მონაწილეები თავისუფლების მოედანზე შეგროვდნენ. ისევე როგორც სხვა ლოკაციებზე, პოლიციამ აქაც გადაკეტა გზები და შეაჩერა ავტოსატრანსპორტო მოძრაობა. აქციის მონაწილეებმა თავისუფლების მოედნის მცირე მონაკვეთი დაიკავეს. დღის განმავლობაში აქციას ხალხი არ

შემატებია.

18:00 საათზე „რიონის ხეობის მცველთა" საპროტესტო დემონსტრაციამ თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის გამზირზე გადაინაცვლა. მსვლელობის მომაწილეები მივიდნენ დემონსტრაციის დაწყების ადგილზე, რესპუბლიკის მოედანთან ახლოს, რუსთაველის გამზირის ცენტრში და გადაკეტეს დედაქალაქის მთავარი გამზირი.

ფოტოზე: გადაკეტილი რუსთაველის გამზირი. 18:10 საათი

დღის განმავლობაში მსვლელობისას აქციის მონაწილეები ხაზგასმულად კეტავდნენ ავტომაგისტრალებს, რითაც ცდილობდნენ, შეესრულებინათ თავდაპირველი გეგმა - დედაქალაქის პარალიზება. თუმცა, აქციის მონაწილეების მცირე რაოდენობის გამო, ეს მიზანი ვერ შესრულდა და ავტომაგისტრალების გადაკეტვა მცირე დროის განმავლობაში ხდებოდა, რის შემდეგაც პოლიცია კვლავ ხსნიდა გზას.

საპროტესტო აქცია რესპუბლიკის მოედანს დაახლოებით 20:00 საათზე დაუბრუნდა, სადაც რეგიონებიდან ჩამოსულმა აქციის მონაწილეებმა ღამე მოედანზე გაშლილ კარვებში გაათიეს.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმად, შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს შენობათა შესასვლელების ბლოკირების ბლანკეტური აკრძალვა გაუქმდება და სამართალდამცავებს მიენიჭებათ დისკრეციული უფლებამოსილება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვიტონ, დაუშვან თუ არა შენობათა შესასვლელების ბლოკირება ამ შემთხვევის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით;

- შევიდეს ცვლილება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვით შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვის საფუძვლები შესაბამისობაში მოვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განსაზღვრულ შეკრების უფლების შეზღუდვის საფუძვლებთან. კერძოდ, შეკრების უფლების შეზღუდვის საფუძვლებიდან ამოღებულ იქნას კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა;
- შევიდეს ცვლილება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში და მას დაემატოს დებულება, რომელიც განსაზღვრავს შეკრების ადგილისა და დროის შეზღუდვის შესახებ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას და დააწესებს სასამართლოს მიერ საქმის განხილვის სწრაფ ვადას;
- შევიდეს ცვლილება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც, ტრანსპორტის სავალი ნაწილის ჩამკეტი ან ტრანსპორტის მოძრაობის შემაფერხებელი შეკრების შესახებ წინასწარი გაფრთხილების ვალდებულებიდან გათვალისწინებული იქნება გამონაკლისი - სპონტანური შეკრებების შემთხვევებში არ იმოქმედებს სახელმწიფო ორგანოების წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება; განისაზღვროს სპონტანური შეკრების დეფინიცია;
- შევიდეს ცვლილება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვით შეკრების მონაწილეებისათვის სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ გაფრთხილების მიცემისას სამართალდამცავი პირები ვალდებული იქნებიან ასევე მიუთითონ, თუ რომელი სახის სპეციალური საშუალების გამოყენებას აპირებენ ისინი შეკრების მონაწილეთა წინააღმდეგ;
- შევიდეს ცვლილება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვით იძულების სპეციალური საშუალებების, არალეტალური ჭურვისა და წყლის ჭავლის გამოყენების საფუძვლები შესაბამისობაში მოვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან, კერძოდ, - გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელო დოკუმენტთან სამართალდამცავი ორგანოების მიერ ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ ორგანოებს:

- შემუშავდეს საჯარო დოკუმენტი, რომელიც ინფორმაციას მიაწვდის შეკრების ინიციატორებსა და ორგანიზატორებს იმის შესახებ, თუ რა სახის ხელშემწყობი ზომები შეუძლიათ, მოითხოვონ მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოებისგან და სამართალდამცავი უწყებებისგან შეკრების ან მანიფესტაციის გამართვისას და იმ პროცედურების შესახებ, რომელიც უნდა გაიარონ ასეთი მოთხოვნის წარსადგენად;
- იწარმოებოდეს და ინახებოდეს სტატისტიკური ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, მათ შორის - ინფორმაცია შეკრების სახის, ხასიათისა და მონაწილეთა რაოდენობის შესახებ. მსგავსი ინფორმაცია უნდა დამუშავდეს იმ შემთხვევებშიც, თუკი არ მოხდა შეკრების შესახებ მუნიციპალიტეტის წინასწარი გაფრთხილება;

საქართველოს მთავრობას და შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანაბრად, საზოგადოების ყველა წევრისათვის, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად;
- უზრუნველყოფილი იქნას ლგბტქი+ თემის წევრებისა და მათი მხარდამჭერების უფლება, თავისუფლად შეიკრიბონ საჯარო სივრცეში და მოაწყონ მსვლელობა მათვის სასურველ დროსა და ლოკაციაზე;
- სათანადოდ შეფასდეს ჰომოფობიური რადიკალური ჯგუფების შეკრებებიდან მომდინარე რისკები და შემუშავდეს ასეთი შეკრებების საპოლიციო მართვის გეგმა, პოლიციის მაღალჩინოსანი პირების ჩართულობით, რომლებიც ადგილზე უხელმძღვანელებენ გეგმის განხორციელებას და მიიღებენ ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს მართლწესრიგის მასობრივ დარღვევებზე ქმედითი და ოპერატიული რეაგირების მიზნით; ანტი-ლგბქტი+ შეკრებებზე მობილიზებულ იქნას დამცავი და იძულების სპეციალური საშუალებებით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის სამართალდამცავი პირი;
- იწარმოებოდეს და ინახებოდეს სტატისტიკური ინფორმაცია შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს სპეციალური საშუალებების

გამოყენების შესახებ, მათ შორის - ინფორმაცია ასეთი შემთხვევების რაოდენობის, სპეციალური საშუალებების გამოყენების ოფიციალური საფუძვლების, სპეციალური საშუალებების გამოყენების შედეგად დაშავებულ პირთა და შეკრებაზე ჩადენილი ქმედების გამო სისხლისსამართლებრივ ან დისციპლინარულ პასუხისგებაში მიცემულ სამართალდამცავ პირთა რაოდენობის შესახებ;

- განხორციელდეს სამართალდამცავი პირების გადამზადება, რათა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გამოიყენონ ფიზიკური ძალა და იძულების სპეციალური საშუალებები შეკრებებსა და მანიფესტაციებზე, აუცილებლობის, გამოსადეგობისა და პროპორციულობის პრინციპების ზედმიწევნით დაცვით, გაეროს ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო დოკუმენტის შესაბამისად ნაკლებად ლეტალური იარაღის სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოყენების შესახებ და მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების შესაბამისად;
- მიეცეს წინასწარი გაფრთხილება შეკრების მონაწილეებს სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ, მათ შორის - ინფორმაცია, თუ რომელი სპეციალური საშუალების გამოყენება იგეგმება მათ წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაყოვნება გარდაუვალი საფრთხის წინაშე აყენებს სამართალდამცველთა და/ან სხვა პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას;
- კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დარეგულირდეს სპეციალური საშუალებების გამოყენების კონკრეტული წესები;
- საშუალება მიეცეს შეკრების მონაწილეებს, განათავსონ კარვები და სხვა დროებითი კონსტრუქციები შეკრების ადგილზე, როდესაც ამით არ იბლოკება შენობათა შესასვლელი ან ხელი არ ეშლება ტრანსპორტის მოძრაობას, და როდესაც საფრთხე არ ემუქრება საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და სხვა პირთა უფლებების რეალიზებას.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- ჩატარდეს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი, დაუყოვნებლივი და ყოვლისმომცველი გამოძიება 2021 წლის 5 ივლისს ჰომოფობიური ჯგუფების მიერ ჩადენილი მასობრივი ძალადობის აქტებთან დაკავშირებით, მოხდეს ყველა დამნაშავე პირის დადგენა და პასუხისგებაში მიცემა, მათ შორის - დაისაჯონ ძალადობის უშუალო ამსრულებლები და თანამონაწილეები,

როგორიც არიან ორგანიზატორები, წამქეზებლები და დანაშაულის ჩადენაში დამხმარე სხვა პირები;

- ჩატარდეს ყოვლისმომცველი და ეფექტური გამოძიება სამართალდამცავი პირების, მათ შორის, მაღალჩინოსანთა ქმედებების მიმართ, 5-6 ივლისს დანაშაულის პრევენციისა და მასზე რეაგირების ზომების მიუღებლობასთან დაკავშირებით;
- 2019 წლის 20-21 ივნისის აქციის დაშლისას ძალის გადამეტებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით დადგინდეს სამართალდამცავი სტრუქტურის ბრძანების გამცემი მაღალჩინოსანი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი. დადგინდეს ის რიგითი პოლიციელები, რომლებმაც შეკრების მშვიდობიანი მონაწილეებისა და ჟურნალისტების მიმართ გაუმართლებლად გამოიყენეს რეზინის ტყვიები;
- ჩატარდეს ყოვლისმომცველი და ეფექტური გამოძიება სამართალდამცავი პირების ქმედებებთან მიმართებით 2020 წლის 8 ნოემბერს ცესკოს შენობასთან შეკრებილი მომიტინგეების წყლის ჭავლის გამოყენებით გაუმართლებელ დაშლასთან დაკავშირებით.